# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 28 აპრილი, 2009 წელი.

№ 83 (6184)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



## გაასიმეტრიულებული ლადარიას ისტორიული შეუთავსებლობა ცხოვრებისეულ სინამდვილესთან

5-6

ანუ ვის აფარებს „გაუგებარი ქარაგმების მოკლე საბანს" „24 საათის" ე. წ. კალამბირი პრესომბუდსმენი, რომელიც ამასთანავე ვიღაცათაგან იქ ჩადგმული რადარია



„სამშობლოწართმეულთა" „შანსი"

## საკანი №133

ქუჩის გაზეთი უფასოდ ყველა მომიტინგისთვის და არა მარტო მათთვის! ოპოზიცია და ხელისუფლება ერთ გაზეთში! გამოხატეთ თქვენი აზრი!






## „შკოლნიკი" კორკოტა და „აბიჟნიკი" გეგიძე

3

## „ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ცუდად დაამთავრებდა"

4



## ცოდვების მონანიების დღე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 28 აპრილი ცოდვათა მონანიების დღეა.

საღამოს 18 საათზე საქართველოში მოქმედ ყველა ტაძარში შენდობის ლოცვას წაიკითხავენ. ამის გამო ყველა უნდა მივიდეს ტაძარში და შენდობა ითხოვოს. პატრიარქი მოუწოდებს ხელისუფლებასა და ოპოზიციას, ტაძრებში მივიდნენ და ცოდვები მოინანიონ. ვინც სულიერია, იმან უნდა დაუთმოს სხვას, იმედი მაქვს, რომ ღვთის წყალობით საქართველო გადარჩება, — ბრძანა პატრიარქმა.

### პოლიტწკიპურტები



- აჰ, ნეტავი ერთად იყოს, თბილისი და... სიღნაღი!
- ოროსანი პირველადგილოსანი?!
- შენ რა გიხარია, შე მართლა აბდალა შენა?
- ყველამ თავის... მამიდას მიხედოსო!

3







⊙ აქცია

# პრეზიდენტს გადადგომის უფლებას არ აძლევენ?

**საქართველოში 9 აპრილს დაწყებულ საპროტესტო აქციებს დასასრული არ უჩანს. თბილისი „საკნების ქალაქად“ იქცა და ერთი დღეც არ გავა, რომ მცირე ინციდენტი მაინც არ მოხდეს აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის, რომლებმაც ახლახან ე. წ. ზონდერბრიგადები შექმნეს. ეს ყველაფერი დაძაბულობის მუხტს მაღლა სწევს და საშიშ ზღვარს უახლოვებს.**

მართალია, ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა მრავალგზის გამოთქვეს უკმაყოფილება იმის გამო, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში ახალგაზრდობისა და სტუდენტობის ხმა ძალუმად არ ისმის, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მტკიცება საფუძველს მოკლებულია. როცა ოპოზიციის უმეტესი ნაწილი პარლამენტის, პრეზიდენტის რეზიდენციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმდებარე ტერიტორიებს ლაშქრავს, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „რატომ?“, რომლის უმრავლესობასაც სწორედ სტუდენტები შეადგენენ, თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულებასთან მართავს იმპროვიზებულ აქციებს. გუშინ მათი სამიზნე თბილისის მერია გახდა და არც გიგი უგულავასთან ამ „ვიზიტს“ ჩაუვლია შეხლა-შემოხლის გარეშე. დაპირისპირების მიზეზი აქციის მონაწილეებსა და მერიის დაცვის წევრებს შორის ის გახდა, რომ მათ უფლება არ მისცეს, პლაკატები გამოეფინათ შენობის წინ. საბედნიეროდ, სერიოზულად არავინ დაშავებულა. აქციის მონაწილეები მოგვიანებით ჟურნალისტებთან ასეთ კომენტარებს აკეთებდნენ.

**ზურაბ ძადაბიძე:**

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილმა გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ გიგი უგულავა და გარემოცვის სხვა წევრები ხელს უშლიან განზრახვის ასრულებაში. როგორც ჩანს, და ეს ახალი ამბავი არც არის, პრობლემა, საუბედუროდ, მარტო პრეზიდენტში არ არის.

**ზურაბ კორძაია:**

— ჩვენ გვინდოდა გიგი უგულავასთვის გვეთქვა, რომ დაეხმაროს სააკაშვილს, ნუ შეუშლის ხელს მის უმტკივნეულოდ წასვლას დაკავებული თანამდებობიდან, მაგრამ ბატონმა მერმა ჩვენს თხოვნაზე პასუხი თავის დაცვის წევრებს დააბარა და მათაც მუშტი-კრივით გაგვმოგვცეს.

**ჯურხა ფხალაძე:**

— ჩვენი პოზიციის დაფიქსირების საშუალება არ მოგვცეს და ეცადნენ პროვოკაციაზე წამოვეგეთ. მაგრამ ჩვენ ვართ მშვიდობიანი მომიტინგეები და გვაქვს ჩვენი შეხედულებების ნებისმიერ ადგილზე გამოხატვის კონსტიტუციური უფლება, იქნება ეს პარლამენტის შენობა თუ გიგი უგულავას დაწესებულება.

**აქცია სახელწოდებით „დაეხმარე მიშას“ მომდევნო დღეებში სხვა სამთავრობო შენობებთან გადაინაცვლებს.**

**ანა წიწილაშვილი**

⊙ SIC!

# ედუარდ შევარდნაძე: საქართველო რეგიონში პოზიციებს კარგავს

**საქართველოში პოლიტიკური ვითარება დღითი დღე იძაბება. ოპოზიციისა და ხელისუფლების უკომპრომისო პოზიციების გამო ვითარება ჩიხშია შესული. მიხეილ სააკაშვილი გადადგომას არ აპირებს, ოპოზიცია კი — საპროტესტო აქციების შეწყვეტას. აღნიშნული საკითხების შესახებ საინფორმაცია სააგენტო „პირველი“ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ედურად შევარდნაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ედუარდ, როგორ შეაფასებთ ოპოზიციის აქციებსა და ზოგადად ქვეყანაში არსებულ ვითარებას?**

— ვითარება ძალიან რთულია და შიდა პრობლემების ფონზე, სამწუხაროდ, გვავიწყდება ქვეყნის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები. ვგულისხმობ თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების დათბობას. ამ ორ ქვეყანას შორის საზღვარი იხსნება, რაც კავკასიაში ძალიან ბევრ რამეს შეცვლის. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთსა და სომხეთს შორის მოვლენები იმ სცენარით განვითარდა, როგორც ამ ორი ქვეყნის პრეზიდენტებს სურთ და ჩაფიქრებული აქვთ, საქართველო მშვიდობიანი კავკასიის ზონაში დიდი მოთამაშის როლს დაკარგავს, რისი ნიშნებიც, სამწუხაროდ, უკვე არსებობს. თურქეთი შეეცდება, უკრაინასთანაც ისეთივე ურთიერთობა დაამყაროს, როგორსაც სომხეთთან ამყარებს.

**— რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენათა შესაძლო განვითარება?**

— ეს ყველაფერი დიდწილად სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ განვითარდება მოვლენები მეზობელ სახელმწიფოებში: თურქეთსა და სომხეთს შორის, რუსეთში, რა როლს შეასრულებს ამაში აზერბაიჯანი. საქართველო რეგიონში პოზიციებს კარგავს.



**— და რისი ბრალია ეს?**

— ჩვენი საკუთარი თავის და ჩვენი შეცდომების.

**— რაში ხედავთ გამოსავალს არსებული პოლიტიკური კრიზისიდან?**

— გამოსავლის ძიება უკვე დავაგვიანეთ...

**— როგორ შეაფასებთ ოპოზიციისა და ხელისუფლების სტრატეგიას, რამდენად გამართლებულია მხარეების მიერ არჩეული ბრძოლის მეთოდები?**

— ჯერჯერობით მგონია, რომ ოპოზიცია გააზრებულ ნაბიჯებს დგამს, ხელისუფლების პოზიცია კი ცოტა გაურკვეველია. ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლებას მხოლოდ ერთ საკითხზე — მიხეილ სააკაშვილის გადადგომაზე დაელაპარაკება, ხელისუფლება კი ამ საკითხის განხილვას არ აპირებს...

**— რამდენად გამართლებულია ოპოზიციის მოთხოვნა პრეზიდენტის გადადგომის შესახებ?**

— ვერ გეტყვით, დრო გვიჩვენებს...

**— თავად როგორ თვლით, უნდა გადადგეს პრეზიდენტი?**

— ვერ გეტყვით, დრო გვიჩვენებს.

**— გიჭირთ პასუხის გაცემა?**

— რა თქმა უნდა, მიჭირს. პირადად მე რაც გასაკეთებელი იყო, გავაკეთე. ან სისხლი უნდა დამეღვარა, ან უნდა გადავმდგარიყავი. მე სისხლისღვრას გადადგომა ვარჩიე, ჩემი გადადგომის შემდეგ კი რამდენი სისხლი დაიღვარა, თავადაც იცით. შემიძლია, მხოლოდ ის გითხრათ, მე როგორ მოვიქცეოდი სააკაშვილის ადგილზე. მის ადგილზე რომ ვიყო, მე გადავდგებოდი...

**მინდია აფციაური**

⊙ ევროსაბჭო

# იქნება მკაცრი რეზოლუცია?

**საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მოსკოვის მიმართ „უფრო მკაცრი რეზოლუციის“ მიღებას მოელის.**

— მნიშვნელოვანია, რომ რუსეთის მიმართ უფრო მკაცრი რეზოლუციები იყოს მიღებული და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოსადმი მხარდაჭერა უფრო მკვეთრად გამოხატოს, — აცხადებს დავითაია, რომელიც სტრასბურგში, სადაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომა მიმდინარეობს, ქართულ საპარლამენტო დელეგაციას წარმოადგენს.

ამასთან, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ვიცე-სპიკერი აცხადებს, რომ ახალი რეზოლუციით იგეგმება საქართველოსთვის ჰუმანიტარული დახმარების გაძლიერება.

**ХИ-ЭЙ-ЭН**

⊙ ალიანსი

# რუსეთი ნატოს სწავლებებში მონაწილეობის მიღებას არ ურჩევს...

**რუსეთის ფედერაცია მონაწილეობას არ მიიღებს საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ეგიდით დაგეგმილ წვრთნებში. ეს განცხადება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა გააკეთა.**

— ეს სწავლებები ამ პირობებში ზიანის მომტანია. რუსეთი, რა თქმა უნდა, მონაწილეობას არ მიიღებს საქართველოში დაგეგმილ წვრთნებში და ამის გაკეთებას არც სხვას ურჩევს, — განაცხადა სერგეი ლავროვმა მოსკოვში მოწყობილ ბრიფინგზე.



სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს ტერიტორიაზე მაისში ნატოს ეგიდით დაგეგმილი წვრთნების გამო და საგანგებო განცხადებას ავრცელებს. განცხადებაში სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა უწყება ალიანსის წევრ სახელმწიფოებს მიმართავს.

იგი საქართველოში დაგეგმილ სწავლებებს აშკარად ანგაჟირებულ პოლიტიკურ აქციად აფასებს, რომელიც რეგიონში დესტაბილიზაციის კონტრპროდუქციული პოლიტიკის გაგრძელებაა, — ნათქვამია განცხადებაში.

შამბას უწყება ასევე აღნიშნავს, რომ „გაკვირვებას იწვევს საერთაშორისო საზოგადოების პასიურობა, რომელიც მდუმარედ ადევნებს თვალს იმას, თუ როგორ აიარაღებენ ხელახლა საქართველოს“.



— ჩნდება კითხვა, რამდენად კანონიერია, ეთიკურია და პოლიტიკურად მიზანშეწონილია სწავლებების ჩატარება და ხელახალი შეიარაღება იმ ქვეყნისა, რომელმაც ბოლო 15 წლის განმავლობაში მეზობელი სახელმწიფოების მიმართ არაერთი აგრესია განახორციელა, — ნათქვამია განცხადებაში.

სერგეი შამბას უწყება მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, მიაქციოს ყურადღება საქართველოს სამხედრო პოტენციალის ზრდის საკითხს, რომელმაც შეიძლება კონფლიქტის მორიგ ესკალაციას შეუწყოს ხელი.

**ХИ-ЭЙ-ЭН**

⊙ მოწოდება

# ნუ ერჩით ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდობას!

**„მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპოზიციურად განწყობილი ახალგაზრდების დაშინების შეწყვეტისაკენ მოუწოდებს.**

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლერი ლაფაჩმა განაცხადა, ხელისუფლება არ წყვეტს მუქარას, ფიზიკურ ანგარიშწორებას პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ წევრებსა და აქტივისტებზე.

მისი თქმით, 25 აპრილს გორში 4 ნიღბიანი პირი თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა პარტიის ახალგაზრდული მოძრაობის აქტივისტს გიორგი მარტინენკოს.

— გიორგი მარტინენკოს თავდამსხმელები საკუთარ კორპუსთან ელოდებოდნენ. საღამოს 10 საათზე იგი საკუთარ სადარბაზოში შედიოდა, როდესაც თავს დაესხნენ. დასახმარებლად მეზობლები გამოვიდნენ, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა გაქცევა მოახერხეს, — განაცხადა ლაფაჩმა და აღნიშნა, რომ ეს არ არის პირველი ფაქტი, როდესაც სპეცსამსახურების თანამშრომლები ფიზიკურად უსწორდებიან პარტიის აქტივისტებს.

**ინტერპრესნიუსი**



## პოლიტწკიპურტები

### აჰ, ნეტავი ერთად იყოს, თბილისი და... სიღნაღი!

**ძალიან მოგვიმრავლდნენ დაყენებულსახიანი, ცინიკურღიმილიანი და უწერტილმძიმოდ მოუბარი პოლიტიკოსები, თეთრს ისე რომ გაგისაღებენ შავად, „ანზე“ ისე გიპასუხებენ „ბანით“, თითქოს კითხვის არსი კი არა, თვით კითხვაც ვერ გაეგოთ ხეირიანად.**

ეს ისე, შესავლისთვის. კონკრეტულად არავის დავასახელებ.



მკითხველმა თვითონ იგულისხმოს მათში ისინი, ვინც ეგულისხმება!

მე კი ამჯერად პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეზე, უფრო სწორად, ინგა გრიგოლიას გუშინწინდელ, საკვირაო გადაცემაში მის მონაწილეობაზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა.

უწინარესად, ულრმესი მადლობა უნდა გადავუხადო ამ მარად პირმღიმარ ახალგაზრდას საქართველოს გეოგრაფიაში ჩემი გათვითცნობიერებისთვის.

**მისგან გავიგე, რომ სიღნაღი თურმე ისეთივე ქართული ქალაქი და ერთიანი საქართველოს ორგანული შემადგენელი ნაწილი ყოფილა, როგორიცაა ვთქვათ, ქუთაისი, ზუგდიდი და თვით ხაშურიც კი!**

და ეს რას მოაყოლა, იცით?

რას და, ინგა გრიგოლიას კითხვას — **მართლა წავიდა თუ არა 9 აპრილს მიხეილ სააკაშვილი საქეიფოდ სიღნაღშიო.**

აი, მაშინ თქვა ის „მარგალიტი“ ბატონმა დავითმა. ქეიფი არ „გახსენებია“, ან კითხვის „არსს“ ვერ ჩასწვდა.

ისე ზოგჯერ რა ჩაციება იციან ჩემმა კოლეგებმა, მით უფრო ტელეჟურნალისტებმა!

რა ქნას კაცმა, ყველაფრის მიუხედავად ექეიფება და არ იქეიფოს?!

მით უფრო, თუ, თურმე საქვეყნო საქმეებს აგვარებს და ინვესტიციების ნაკადს უხსნის სათავეს იმ რესტორნებში გაშლილ გაზიმზიმებულ სუფრასთან!

რა ძნელია ასეთ უშნოდ მოკირკიტე და უმადურ ხალხთან მუშაობა.

ამიტომაც ვინატრე, კარგი იქნებოდა, ერთად ყოფილიყო თბილისი და სიღნაღი-მეთქი.

მოუნდებოდა ნაბახუსევზე პრეზიდენტს ხაში? — წავიდოდა სტუმრიანად სიღნაღში.

მოენატრებოდა სუში? — გაქუსლავდა ხაშურში.

მოესურვებოდა ბორში? — ჩაირბენდა გორში.

და ა. შ. და ა. შ.

და სანამ მისი პურობის ჩასამწარებლად „9 აპრილის“, „თანასწორობის ინსტიტუტის“ თუ სხვა ორგანიზაციათა წევრები მას „დანაშაულის ადგილას“ წაასწრებდნენ, ყველაფერი მომთავრებული ექნებოდა!

**მერე არც მის მარად პირღიმილიან თუ, გამონაკლის შემთხვევაში, პირგამეხებულ თანამოაზრეებს მოუწევდათ თეთრის შავად გასაღება ან „ნე ვიჟუ“ „ნე სლიშუს“ შესატყვისი პოზის მიღება.**

### ოროსანი პირველადგილოსანი?!

**ახლახან კიდევ ერთხელ დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას — მსოფლიო ბანკის დასკვნით პირველ რეფორმატორ ქვეყნად გვაღიარესო!**

პირველი ადგილი მართლაც არ არის ცუდი, მაგრამ თუ მედალს მეორე მხრიდანაც შევხედავთ...

რეფორმა, თანაც რადიკალური, სწორედ ჩვენნაირ გაუბედურებულ ქვეყანას სჭირდება, თორემ კარგსა და დალაგებულს (ასეთებს არ ჩამოვთვლიძ რა ოხრად უნდა?

ჩვენზე უარესებს რომ გავასწარით, თანაც თეორიულად



„ლიბიელი“ ქართველები

(პირველადგილოსნის შესატყვის პრაქტიკულ ცხოვრებას მე ვერ ვხედავ და...ძ, იმით ვტრაბახობთ?

ანუ ბრმათა შორის ცალთვალი რომ პირველი სარდალია ან უძაღლო ქვეყანაში რომ კატას აყეფებენ, ისაა გასახარებელი?

**ნებისმიერი გაწეული საქმიანობის ეფექტიანობა მხოლოდ მისი საბოლოო პრაქტიკული შედეგებით რომ იზომება, არ გაგიგიათ, ბატონებო?**

ამ სასიკეთო საბოლოო შედეგების არარსებობის დასტურად კი მხოლოდ ერთ ბოლოდროინდელ მაგალითს მოგახსენებთ:

ერთთვიანი აუწერელი დამცირების, ტანჯვა-წამების და ხიფათის შემდეგ, როგორც იქნა, ლიბიიდან სამშობლოში დაბრუნდა 30 გაუბედურებული ქართველი.

ისინი მოტყუებით წაუყვანიათ ლიბიაში მშენებლობებზე შავ მუშად სამუშაოდ.

**პირველადგილოსანი და აყვავებული ეკონომიკის მქონე ქვეყნიდან (როგორადაც საქართველოს გვიხატავენ ჩვენი მაღალჩინოსნები) უბრალოდ პურის ფულის საშოვნელად უდაბნოში გაიქცეოდნენ გაჭირვებული ქართველები?!**

**ამის გათვალისწინებით, პირველ ადგილზე ვართ, ოღონდ... ბოლოდან.**

**იმ განვითარებული ქვეყნების ფონზე, ცხადია, რომელთა თანამეგობრობაში გაერთიანებასაც ვესწრაფვით!**

### შენ რა გიხარია, შე მართლა აბდალა შენა?

**როდესაც ვერავინ გამჩნევს და არაფრად გაგდებს, ცხადია, ცუდია.**

**მაგრამ მუდამ არც ისაა კარგი და სასიხარულო, ყველა შენზე რომ ლაპარაკობს. გააჩნია სიტუაციას, იმას, რამ აღერლა მთელი დუნია შენზე სალაპარაკოდ.**

ხომ გახსოვთ, როგორ უთხრა ილარიონმა პოეზიაში გადაჩეხილ ზურიკელას მისი მორიგი შედევრის მოსმენის შემდეგ:

**თუ თოვდა, ქარი ქროდა და ქვეყანა ინგრეოდა, შენ რა გახარებდა, შე აბდალა, შენაო!**

...ჩვენი მაღალჩინოსნები ხშირად ტრაბახობდნენ (ასე იყო, მაგალითად, „ვარდების რევოლუციის“ თუ 2007 წლის ნოემბრის აქციების დროსძ და ახლაც იკვეხნიან — საქართველო მთელი მსოფლიოს ყურადღების



ცენტრშია — „სი-ენ-ენი“ თუ „ბი-ბი-სი“ თავიანთ გადაცემებს საქართველოში მიმდინარე მოვლენების გაშუქებით იწყებენო.

ვითომ მართლაც სატრაბახო და თავმოსაწონია ეს?

აღნიშნული ტელეკომპანიები ხომ ძირითადად აფეთქებებზე, ნგრევებზე, ტერორიზმზე, აქცია-დემონსტრაციებსა და იქ გამართულ ცემა-ტყეპასა თუ სხვა უბედურებებზე აკეთებენ ძირითად აქცენტს კომენტარით თუ უკომენტაროდ?

ეს გიხარიათ, თანამედროვე ზურიკელებო?

**თუმცა ზურიკელას ეპატიებოდა და ერთგვარად გაუგებდა კიდეც კაცი — იგი შეყვარებული იყო.**

**მაინც არ გაუგეს და აპატიეს ილიკომ და ილარიონმა.**

**ჩვენი მაღალჩინოსნებიც შეყვარებულნი არიან. ოღონდ თავიანთ თავზე!**

**ამიტომაც ვერ უგებს და პატიობს მათ კოლექტიური ილიკო და ილარიონი — ქართველი ხალხი!**

### ყველამ თავის... მამიდას მიხედოსო!

**სხვისი დამცრობის ხარჯზე საკუთარი ვაჟკაცობა-სიქველისა თუ გამჭრიახობა-მაგარი ბიჭობის მტკიცება რომ ბევრი ვერაფერი კაცობაა, ეს ახალწამოჩიტულმა ბიჭმაც იცის.**

**ამგვარი რამ ქუჩისა და უბნის დონის გარჩევებშიც მიუღებელია, არამცთუ სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე.**

ჩვენი პრეზიდენტი კი, ეტყობა, სრულიად საპირისპირო მოსაზრებისაა: ჩვენნაირი ჭკვიანი და მაგარი მთავრობა მთელს დუნიაზე არავის ჰყავსო, ამნაირი პარკი არც რუსეთშია და არც ევროპაშიო, ჩვენი აეროპორტი მიუნხენისას სჯობსო და ა. შ.

ეტყობა, მადა მართლაც ჭამაში მოდის და ჩვენმა ზომიერებადაკარგულმა პრეზიდენტმაც თანდათან გაუტია — უკვე კონკრეტულ სახელმწიფოებსა თუ მათს ლიდერებსაც მისდგა.

ჯერ იყო და, სომხეთის ეკონომიკას გადაუარა — მთლიანად რუსეთის ბაზარზეა დამოკიდებული და ორიოდ კვირაში ჩამოიშალაო, იქით უკრაინა გააქიაქა — ძალიან უჭირთ, ხელფასებსა და პენსიებს ვერ გასცემენ, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ერთმანეთს ჭამენ, ეკონომიკაც ენგრევათო და ა. შ.

შედეგი?

თუ აქამდე უკრაინა ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი იყო, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები უკვე საკმაოდ გაცივდა — ახლახან ჩვენი სტუდენტები აყურყუტეს უკრაინა-პოლონეთის საზღვარზე, მანამდე ჩვენი მოცეკვავეებიც გაანწ-



ვალეს — სულაც ყალბი დოკუმენტები ჰქონდათო; საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღების საჭიროებაზეც ალაპარაკდნენ...

**სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა კი პერსონალურად სააკაშვილს დააკისრა პასუხისმგებლობა სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაფუჭებაში.**

ხოლო მისი პრესსპიკერი სამუელ ფარმანიანი სააკაშვილის სიტყვებს **„აბსოლუტურად უსაფუძვლოს“** უწოდებს (ვაი, სირცხვილო!ძ და მას ეკონომიკური პრობლემებიდან საკუთარი მოსახლეობის ყურადღების გადატანის მცდელობაში ადანაშაულებს.

**ანუო, თქვენებური ჟარგონით თუ ვიტყვითო, ყველამ თავის „იმნაირ“ მამიდას მიხედოსო.**

**ვაი, ჩვენს პატრონსა და ქვეყანას ამნაირთა ხელში!**

**რუსლან რუსია**

## „ყურბანვიზიის“ ძალის უფლება

# „შკოდნიკი“ კორკოტა და „აბიუენიკი“ გეგიძე

**ანუ, თბილისური სლენგით, უნამუსო ჯიბგირი გიორგი კორკოტაშვილი და ხულიგანი ბიძინა გეგიძე. ახლა ვინმე იტყვის, ჯიბგირი და ნამუსიანიო? მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი რამეც არსებობს. რა თქმა უნდა, შედარებით, ანუ კორკოტას უნამუსობა ის არის, რომ, თუ მაყუთი აწაპნა, გეგიძესათვის უნდა გაეყო. მაგან კი...**

ხუმრობა იქით იყოს და ის, რაც კვირა დილით ვიხილეთ ტელევიზიებით შსს ოპერატიული მასალის სახით, ნორმალურ ადამიანს ყოველგვარი სიცილის ხასიათს დაუკარგავდა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვინც კორკოტას იცნობს, ტელევიზიით ნანახ იმ სისულელეს არ დაიჯერებდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ ხელისუფლებას ისე აქვს სახელი გატეხილი, მის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებულ თუნდაც მართალ ინფორმაციასაც ქვეშეცნეულად არავინ იჯერებს.



შსს ოპერატიული მასალა

ზემოთ ხელისუფლება-მეთქი, წამომცდა. დიახ, წამომცდა, რადგან, სამწუხაროდ, 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს. არის მხოლოდ ძალაუფლება. გინდა შიშველი მეფის შიშველი ძალის უფლება და შსს ძალაუფლების მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები. ეს არის და ეს. და რაც ხდება, მხოლოდ ამის გამო ხდება — ერთი მხრივ, ქუჩებში გამოსული საზოგადოება და, მეორე მხრივ, ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მებრძოლი მცირერიცხოვან ჩინოსანთა კასტა.

**რა უნდა იწამო ამათი, როცა მთელი თურქეთის პრესა, ინტერნეტსაიტები აჭრელებულია მიშას სურათებით, ესენი კი, ვირზე უკუღმა მსხდომნი, გვიმტკიცებენ, მიშა ბოდრუმში არ ყოფილა, პირდაპირ ბულგარეთიდან ჩამოფრინდაო.**

მოდით ისევ კორკოტასთან დაკავშირებულ სკანდალს დავუბრუნდეთ. საზოგადოებრივი არხის კი არა, ჩემი აზრით, „ყურბანვიზიის“ ხელმძღვანელობა ოპერატიულად გამოეხმაურა შსს-ის ოპერატიულ მასალას და „შკოლნიკობაზე წასწრებული“ კორკოტა მოხსნა მისი გასართობ-შემეცნებითი შოუს წამყვანობიდან — ისედაც დაბალრეიტინგიანი გადაცემა (ისემც დაუმშვენდეს „ყურბანას“ ცხვირიძ იყო და მისი წამყვანი ჯიბგირიც ყოფილა, მაგის გამოჩენა ეკრანზე მით უმეტეს აღარ შეიძლებაო.

იქვე დაუმატეს, რადიო „ნაცნობთან“ არ ვწყვეტთ ამ პროექტს და კორკოტას შემცვლელის კანდიდატურები მოგვაწოდეთო.

ერიჰაა! ამათ ყველანი თავისნაირები ჰგონიათ. ვინ იქნება კორკოტას კოლეგებიდან ის უნამუსო, ვინც შტრეიკბრეხერობას გასწევს? არავინ!

**ამიტომ ლევან ყუ(რ)ბანეიშვილს მე შევთავაზებ ცნობილი კონფორმისტებიდან რამდენიმე კანდიდატურას: „პადოშა“, ლაშა ბუღაძე, სტეფანე, გიორგი თარგამაძე — „თბილისის ნაღდი კოლორიტები“. რეიტინგი მერე ნახოს „ყურბანვიზიამ“.**



ისე ერთი ვინმე კიდევ უშლის ხელს ამ ტელევიზიას — ინგა გრიგოლია უნდა მოხსნან სასწრაფოდ და „ყურბანვიზიაზე“ „ყურებადი“ არხი აქ კი არა, იქ — დასავლეთშიც არ იქნება ბიბის, სიენენ, ფოქსნიუსების ჩათვლით.

**მაშ ასე, ჩემო მკითხველო, ჩემი რჩევები თუ გაითვალისწინეს, მოგეცათ ლხენა — ჩემი ნაცოდვილარი წერილების კითხვას რბილ სავარძელში მოკალათებულებმა „ცხოვრება მშვენიერიას“ რომ უყუროთ განა არ სჯობს — „ყურბანვიზიის“ ვარდისფერი სათვალით ცხოვრება ხომ მართლაც მშვენიერია?**

**დავით მხეიძე**

ფსიქოანალიზი



***ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე და პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის სავარაუდო გზებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ ზურაბ მხეიძეს ესაუბრა.***

# ზურაბ მხეიძე: ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ცუდად დაამთავრებდა

**— ბატონო ზურაბ, როგორ შეაფასებთ იმ ვითარებას, რომელშიც ქვეყანა აღმოჩნდა, ანუ საზოგადოების მონაწილეობით ოპოზიცია-ხელისუფლების დაპირისპირებას?**

— მე არ ვთვლი, რომ ქვეყანაში რაიმე განსაკუთრებული ხდება. პროცესები კანონზომიერად ვითარდება. ის რაც ხდება, ჩემთვის განსაკუთრებულად განსაცვიფრებელი არ არის და პასუხია ხელისუფლების იმ მოქმედებებზე, რაც ხელისუფლებამ თავისი მართველობის პერიოდში გააკეთა. მდგომარეობა იმის შესაბამისია, რაც უნდა იყოს. ყველა ქმედებას აქვს უკუქმედება, არის სასწორი, რომელზეც შეიძლება დაიდოს ნეგატიური, ან პოზიტიური. ხელისუფლებამ იმდენი ნეგატიური დააგროვა, რომ საზოგადოებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, ხელისუფლებას პასუხი მოსთხოვოს.

რაც ხდება, ხელისუფლების საქმიანობაზე საზოგადოების პასუხია და აქ ოპოზიცია არაფერ შუაშია. ოპოზიცია ამ შემთხვევაში შუამავლის და ოდნავ ორგანიზატორის როლს ასრულებს, რომ პროცესები გარკვეულ ჩარჩოებში წარიმართოს. საზოგადოება ქუჩაში ხელისუფლების უსამართლო მოქმედებამ და სამართლიანობის აღდგენის სურვილმა გამოიყვანა.

**— საზოგადოების ერთი ნაწილისა და ოპოზიცია-ხელისუფლების უკიდურესად დაპირისპირების ფონზე, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები?**

— ამ კონკრეტულ შემთხვევაში პროცესის სავარაუდო განვითარებაზე საუბარი მიჭირს, რადგან პრინციპში ვიზედაც დიდ წილად დამოკიდებულია ბევრი რამ, და ეს ხელისუფლებაა, მისი ქცევა შექმნილ ვითარებაში არაადეკვატურია. ხელისუფლების მოქმედებაში იმდენად ძნელია ერთი ხაზი დაიჭირო, რომ პროგნოზირება იმისა, რა მოხდება, ძალიან ძნელია. საბოლოო ჯამში მოხდება ის, რომ ალბათ ხელისუფლება შეიცვლება, როდის და რა ფორმით, ძნელი სათქმელია.

ოპოზიცია ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე იმის გამო არ წავიდა, რომ მას ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების მწარე გამოცდილება აქვს. როცა ოპოზიცია ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე წავიდა, გავრცელდა ხმა, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას გაურიგდა, ვიღაცეებს ვალები დაუფარეს და ოპოზიციამ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელად კინწურაშვილის ნაცვლად მიიღო ყუბანეიშვილი. ამ პროცესებს მოჰყვა საზოგადოებაში იმ ხმების გავრცელება, რომ ოპოზიცია არაფერს არ წარმოადგენს.

შემდეგ პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება — იგი ოპოზიციის ადგილზე რომ იყოს, ხელისუფლებას ორ თვეში შეცვლიდა. ჯერ ერთი, ამ განცხადებით პრეზიდენტმა ფაქტობრივად აღიარა, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ იმდენი არგუმენტი გაჩნდა, რომ შესაძლებელია ხელისუფლების ორ თვეში შეცვლა. ამ ფონზე ოპოზიციამ ჩათვალა, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებზე წასვლა სარისკო იყო და იგი, შესაძლოა, კვლავ დისკრედიტებული აღმოჩენილიყო.

**— რჩება შთაბეჭდილება, რომ უკანდასახევი არც ერთ მხარეს არ დარჩა და ორივემ ერთმანეთთან მისასვლელი ყველა გზა მოიჭრა.**

— მე ცოტა სხვა რამეში მეპარება ეჭვი, თუ რატომ ვერ დგამს ხელისუფლება რაიმე შემხვედრ ნაბიჯს და თუ თავად არ გადადგა, ვინმე მაინც რომ არ გადააყენა. გაუგებარია, პრეზიდენტი რატომ ვერ ელევა თავისი გარემოცვიდან ისეთ ადამიანებს, რომელთა გადაყენებას მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მოითხოვს. პრეზიდენტი ან არაადეკვატურია, ან ეშინია, რომ ამ ადამიანების გათავისუფლების შემთხვევაში ისინი იტყვიან ისეთ რამეს, რისი გახმაურებაც არ სურთ. მერაბიშვილს არ ვამბობ, პრეზიდენტი გირგვლიანის მკვლელებსაც ვერ შეელია. ეს იმდენად არაპრაგმატული, აბსურდული და სულელურია, რომ ერთადერთი ლოგიკაა, პრეზიდენტი იმ ხალხს იმიტომ ვერ ელევა, რომ ამის უნარი არა აქვს. ეტყობა იგი ადამიანთა გარკვეული წრის წინაშე ვალშია. რა ვალი უნდა იყოს ეს, არ ვიცი, მე ფინანსურ ვალს არ ვგულისხმობ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ თუ ხელისუფლება გადადგება, მაშინ შეიძლება გამოირკვეს ისეთი რაღაც, რაც ხალხმა არ იცის და პრეზიდენტს არ უნდა, რომ ამ საქმეების შესახებ საზოგადოებამ საერთოდ რაიმე იცოდეს.

**— ფაქტია, რომ ოპოზიციის მოთხოვნას ხელისუფლება უპასუხოდ ტოვებს და შექმნილ ვითარებაში შორიდან ცქერით თავადაც მაქსიმალური სარგებლობის მიღებას ცდილობს?**

— ხელისუფლება გადადგომაზე და კომპრომისზე არ მიდის ზუსტად იმიტომ, რომ შემდეგ მის საქმიანობაზე უფრო მეტი არ გახდეს ცნობილი. შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებას მეტი მოეთხოვება და მის კომპეტენციაშია ვითარების მართვა. საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილის უკმაყოფილება და კარვების ქალაქი იმას ნიშნავს, რომ მე, როგორც მმართველი, არ ვვარგივარ და უნდა ვაღიარო, რომ როგორც ქვეყნის მმართველი არ ვვარგივარ. ორივე, დანაშაულის ან არაკომპეტენტურობის შემთხვევაში, ხელისუფლებას რომ შეგნება ჰქონდეს, თავის პოზიციას დათმობდა.

**— ბრძანეთ, რომ ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლა შესაძლებელი და გარდაუვალია. თქვენი შეფასებით, რამდენად შესაძლებელია ხელისუფლების ცვლა სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე განხორციელდეს?**

— ვფიქრობ, რომ სამოქალაქო დაპირისპირება აცილებელია. თუ ამის მსგავსი რამ მოხდა, იგი აუცილებლად შეგნებულად იქნება პროვოცირებული ხელისუფლების მხრიდან. ამის თქმის საშუალებას მაძლევს ის გზავნილები, რომელიც ტელევიზიებში გადის. ესემესების გაგზავნა ანონიმურად შეიძლება. ხელისუფლებას ძირითადად ანონიმური მხარდამჭერები ჰყავს. რაღაც დოზით დაპირისპირებას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ეს რომ ხელისუფლების მხრიდან ინსპირირებული დაპირისპირება იქნება, ეჭვს არ იწვევს.

ქვეყანაში ხელისუფლების მშვიდობიანი საპროტესტო აქციებით შეცვლას არ გამოვრიცხავ. ბევრი საუბრობს იმაზე, რომ საკმარისია ხელისუფლების საპროტესტო აქციებით ცვლა. მე კი მომხრე ვარ, რომ შემდეგ ხელისუფლებას ერთი წელი უნდა ვაცალოთ, მაგრამ მანაც თუ შეცდომები დაუშვა და დაპირებები არ შეასრულა, ისიც შევცვალოთ. ჩვენთან თუ არ შეიქმნა პრეცედენტი იმისა, რომ ხელისუფლებას თავის მოქმედებაზე პასუხი არ მოეთხოვა, არაფერი გამოვა. მე არც იმის მომხრე ვარ, რომ ხელისუფლებას გადადგომის სანაცვლოდ რაიმე გარანტიები მიეცეს. **ნებისმიერმა ხელისუფალმა უნდა იცოდეს, რომ დაშვებულ შეცდომებზე პასუხი მოეთხოვება.**

ხელისუფლების შეცვლა როგორც მშვიდობიანად, ისე არამშვიდობიანად შესაძლებელია. ახლა ორივე მხარე, ოპოზიციაც და ხელისუფლებაც, იმას ელოდება თუ ვინ დაუშვებს ისეთ შეცდომას, რაც საფუძველი შეიძლება გახდეს ძალის რაიმე ფორმით გამოყენების. ხელისუფლებამ ძველი მეთოდებით მოქმედება დაიწყო, როცა ტელევიზიებით იარაღის შეძენის შესახებ ჩანაწერების ჩვენება განახორციელა. ფსიქოლოგიაში ცნობილი ფაქტია, თუ წყარო არის დისკრედიტებული, მას მართალიც აღარ დაეჯერება. ჯერჯეროზით არც ერთი მხარე ისეთ საბაბს არ იძლევა, რომ რადიკალური ზომები იქნეს მიღებული.

მე არც ის გამიკვირდება, ხვალ ან ზეგ გავიღვიძოთ და შევიტყოთ, რომ პრეზიდენტი მშვიდობიანად გადადგა. ძალიან მიჭირს იმის თქმა, ხელისუფლების ცვლა როგორ მოხდება, მაგრამ ეს რომ ყველა ვარიანტში მოხდება, ამაზე მოვლენათა განვითარების ლოგიკა მიგვანიშნებს.

**შესაძლოა, ოპოზიციის მხარდამჭერები გამინაწყენდნენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ხელისუფლება მაქსიმუმ შემოდგომაზე გადადგება. მე ამას ორი წლის წინათ, მაშინაც ვამბობდი, როცა თბილისის კარვების ქალაქად გადაქცევას არავინ ფიქრობდა. როცა ქვეყანას ისე მართავ, როგორც ჩვენმა ხელისუფლებამ მართა, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ცუდად დაამთავრებდა.**

**კობა ბენდელიანი**



მხარე

## აფხაზეთის პასპორტის აღებას მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავეებს აიძულებენ

**„ბატონო პრეზიდენტო, რატომ დაყავით დევნილები თქვენს დევნილებად და შევარდნაძის დევნილებად. თუ თქვენს დევნილებს სჭირდებათ დახმარება და რეაბილიტაცია, ჩვენ რა დავაშავეთ, რომლებიც 16 წელია ვწვალობთ“** — ასეთი შეკითხვა დაუსვა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოსახლეობასთან ამ რამდენიმე თვის წინათ გამართულ სატელევიზიო დებატებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ზუგდიდის წარმომადგენლობის წევრმა, გალის რაიონის სოფ. თაგილონის რწმუნებულმა ანატოლი ჯოლოგუამ. მისი თქმით, პრეზიდენტის პასუხმა ის არ დააკმაყოფილა, რადგან პრეზიდენტს არ განუმარტავს, თუ რის გაკეთებას აპირებს აფხაზეთიდან დევნილთა საკეთილდღეოდ.

გალის რაიონის სოფ. თაგილონის ქართული მხარის რწმუნებულის ანატოლი ჯოლოგუას განმარტებით ხელისუფლების მიმართ უყურადღებობაში თავიანთ დანაშაულსაც ხედავს **„ჩვენ დევნილები, გავთითოკაცდით, დავნაწილდით, სხვადასხვა პარტიაში ერთ აზრზე დავდექით. ზოგი სამსახურს დავხარბდით, ზოგი ბაზრის დახლებს, ამიტომაც გვათამაშებდა, გვათამაშებს და მომავალშიც ასე მოგვექცევა ხელისუფლება“** — აცხადებს ანატოლი ჯოლოგუა.

რაც შეეხება აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა ყველაზე მტკივნეულ პასპორტიზაციის საკითხს, მდგომარეობა არც თუ ისე მძიმეა, როგორც ამას საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ. **„მე საჯარო მოხელე ვარ, მაგრამ სიმართლე მაინც უნდა ვთქვა. აფხაზური პასპორტის აღებას მხოლოდ საბიუჯეტო ორგანიზაციებში მომუშავეებს აიძულებენ, ხოლო უბრალო მოსახლეობას კი არავინ არ თხოვს ასეთი პასპორტის აღებას. უფრო მეტიც, იმათ, ვისაც სახელმწიფო სტრუქტურებთან შეხება არა აქვთ, ურთულებენ კიდეც აფხაზური პასპორტების აღებას, რადგან აფხაზურ ხელისუფლებას არ სჭირდება უბრალო მოსახლეობის პასპორტიზაცია“,** — განაცხადა ანატოლი ჯოლოგუამ.

თაგილონის რწმუნებული მთელ აფხაზეთზე ვერ ილაპარაკებს, მაგრამ თაგილონში ნაღდად იცის, რომ ქართული სული შენარჩუნებულია. **„ჩემს სოფელში ქართული სული არ ჩამკვდარა, საბედნიეროდ, გვაქვს ქართული სკოლა. ამ სკოლის პედკოლექტივის დამსახურებაა, რომ სოფელს ქართული სული აქვს შენარჩუნებული. როდესაც დგება ვიღაც-ვიღაცეების დაჯილდოების საკითხი, ეს ხალხი არავის ახსოვს, ისინი საერთოდ იგნორირებულნი არიან“,** — დასძინა ანატოლი ჯოლოგუამ.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

ინფორმაცია

## ჩეჩენი „ბოევიკები“ პანკისიდან გროზნოში გადავიდნენ?

**რუსული მედიის ინფორმაციას პანკისიდან ჩეჩნეთში 60 ბოევიკის გადასვლის შესახებ საქართველოს საგარეო უწყებაში პროვოკაციას უწოდებენ.**

**კომენტარი გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა გააკეთა.**

**გასაკვირია, როდესაც ისინი არ ახსენებენ დაკავებას თუნდაც ერთი იმ „ბოევიკისა“, საიდან უნდა ჰქონდეთ დაზუსტებული ინფორმაცია მათი მიზნების შესახებ. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ეს გახლავთ კვალვ მტკნარი სიცრუე და პროვიკაცია, — განაცხადა კაჭკაჭიშვილმა.**

**მისივე თქმით, ამის მიზანია, ერთი მხრივ, საქართველო ტერორისტებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულონ, ხოლო, მეორე მხრივ, იყოს საბაბი, რომელსაც თავიანთი ქმედებებისთვის გამოიყენებენ.**

**60 ბოევიკის პანკისიდან ჩეჩნეთში გადასვლის შესახებ ინფორმაციას რუსული საინფორმაციო საშუალებები ჩეჩნეთში განლაგებული რუსეთის ფედერალური ჯარების ოპერატიული შტაბის წარმომადგენლობაზე დაყრდნობით ავრცელებენ. ამ ინფორმაციის თანახმად, „ბოევიკებს“ სპეციალური ბანაკები აქვთ პანკისში მოწყობილი. ისინი გროზნოში შეღწევასა და ტერორისტული აქტების მოწყობას გეგმავდნენ.**

ინტერპრესნიუსი

მყისექო

## ერთი განკარგულებისა გამო

**ჩვენც გამოვთქვამთ მწუხარებას იმ ტრაგედიის გამო, „რუსთავი-2“-ის თანამშრომლებს რომ დაატყდათ თავს, თანაგრძნობას ვუცხადებთ...**

ქვეყნის პრეზიდენტმა უბედურების ადგილი მოინახულა (ნეტავ სხვა შემთხვევებშიც იჩენდეს ასეთ ოპერატიულობასძ და მეფური განკარგულება გასცა: ათ დღეში დაიდოს დასკვნა, შეიძლებოდა თუ არა ტრაგედიის თავიდან აცილება და რა ზომებს უნდა მივმართოთ, მსგავსი რამ რომ აღარ განმეორდესო.

მე ეს მონახულება საპიარო-კონიუნქტურული მეჩვენა და ფიქრიც გამიჩნდა: შარშანდელი აგვისტოს შემდეგ 10 დღე კი არა, ლამის 10 თვეც გავიდა და თვითონ თუ დასდო ხალხის წინაშე დასკვნა — შეიძლებოდა თუ არა იმ ომის და რუსეთის აგრესიის არიდება და რა ზომებს იღებს იმისათვის, რომ მომავალში ასეთი ეროვნული უბედურება ავიცილოთ...

**თამაზ ეზანოიძე**

ფუი ეშმაკს!

ნამდვილად არახალია, ძველია გაზეთ „24 საათის" ეგრეთ წოდებული პრესომბუდსმენის ნოდარ ლადარიას ეშმაკეული დამოკიდებულება ქართული ეკლესიისა და, კერძოდ, კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ. ასე რომ სულაც არ გამიკვირდება, რომ „24 საათის" 22 აპრილის ნომერში კვლავ გამოჩნდა ლადარიასეული ეშმაკეული „განსჯა" უწმინდესისა და უნეტარესის სააღდგომო ეპისტოლეს გამო. სხვათა შორის, ლადარიასეული საეკლესიო თუ პოლიტიკურ-სოციოლოგიური „სჯანი" ყოველთვის იმით გამოირჩევა, რომ დაკვირვებულ, გაწაფულ თვალს უმალ აჩვენებს, ვის დავალებასაც ასრულებს ეს „ეშმაკთან ზავით შეკრული" ავტორი, რომელსაც ყოველივე უფაქიზესი ქართულის სიყვარული მაინცდამაინც გულზე არ ახატია, მუდამ კრიჭაში უდგას სამართლიანად ხმაამოღებულ საზოგადოებას და ძალიან ხშირად ყელზე ადგას ბოლმის ლუკმად.

სწორედ ასეა ამჯერადაც.

თუმცა ზოგადად ლაპარაკს ნიშანდობლიობა სჯობს, და ამიტომ შევეცდები, რომ ეს ამ უდროო დროს ყელზე დამდგარი ბოღმის ლუკმა როგორმე უმტკივნეულოდ ამოვახველო როგორც ხელისუფლებისგან ჩვენი ათასგზის შეურაცხყოფილი საზოგადოების ერთ-ერთმა ჩარეცხილმა წევრმა...

ღმერთი, რჯული, არც არას მივუმატებ და არც არას გავამუქებ, მხოლოდ იმის თვალნათლივ დანახვებას ვილონებ, რაც ლადარიას გონების ხვიმირიდან „სიბრძნე იმარცვლება". ხვიმირა კი თვითონ ამ ჩვენი მეორეშაბათე პრესომბუდსმენის ყოვლად უპასუხისმგებლო წერის „პრინციპმა" გამახსენა – ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო...

ერთი სიტყვით, ღრიტინით ნამდვილად ღრიტინებს ლადარიას „სიბრძნის" წისქვილი, მაგრამ უფრო მეტად ღერღავს, როშავს და როხავს. ამას ფქვა არც ეთქმის.

პირველ მარცვლად „ლადარიას წისქვილის ხვიმირიდან ყბადაღებული „დიალოგია" ჩამოვარდნილი, რაც „მოცემულ შემთხვევაში" თურმე არა მარტო მიუღებელია, არამედ შეუძლებელიცაა. არა, ბატონებო, ვინმეს არ ეგონოს, რომ „ეს **რაღაც ბოროტი ნების ან ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის შედეგია**". სინამდვილეში თურმე „**სულ სხვა, ბევრად უფრო ძლიერი შეუთავსებლობა ვლინდება დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე**". ეს კი თურმე „**ისტორიული შეუთავსებლობა**" ყოფილა.

და აქ ერთი (ანუ პირველი!ძ ასიმეტრია იჩენს თავს... ეს ასიმეტრია კი, იცით, რა ყოფილა? რა და, თურმე „ბევრად უფრო ადვილია იმის ჩვენება, რომ სააპრილო პროტესტის ავტორები რევანშისტები (SIC!ძ არიან, ვიდრე იმის დამტკიცება, რომ „**უამრევანშისტებოდ საქართველო სულ კონტრუშ-კუნტრუშით გაუყვება ნათელი მომავლის გზას**". სანამ მეორე ასიმეტრიაზე გადავიდოდეს, ეს ჩვენი „ეშმაკთან ზავით შეკრული" ლადარია გვიხსნის, რომ ასიმეტრია „**საკმაოდ ჩვეული ჭირი და ადამიანისათვის დიდად ნაცნობი**" რამ ყოფილა. აკი რუსთაველიც ამბობდაო: **კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო**. დღემდე არც ერთ რუსთველოლოგს, არც დიდსა და არც პატარას, ყურადღება არ მიუქცევია, რომ თურმე „აქაც ასიმეტრიაზეა ლაპარაკი", ვინაიდან ბოროტი და კეთილი „თანაბრად არ არის განაწილებული ჩვენს ცოდვილ წუთისოფელში". და ამ რუსთველოლოგიურ „აღმოჩენას" ღმერთმანი, რუსთაველურად მოწნეული ფრაზა მიჰყვება: ქვითკირია არ იყოს, ჩვენც უნდა გავმაგრდეთ და შევტოვოთ ჩვენი ცხოვრების ასიმეტრიების ჭაოსში...

ჭაოსი შენც [illegible] გაგიგონია, ჩემო მკითხველო, მაგრამ ზემოთ რომ „ჩვენი ცხოვრების ასიმეტრიების ჭაოსი" ახსენა, არც მეტი, არც ნაკლები, ეს „მეტაფორა" ლადარიასთვის (არ ვიცი, რამ გადარია!ძ) [illegible] ნად არა, რამდენადაც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლესა და ამ ეპისტოლეში მიმოფენილ ასიმეტრიებს შეუგნებია. და, ისიც, ეს ახლად მოგონილი „რუსთველოლოგი" მკრეხელური ღიმილით მიტოვებს ამ „ასიმეტრიების ჭაოსში"...

ამ ტოვა-ტოვაში კი XVII საუკუნის საქართველოში ამოყოფს თავს... აქ კიდევ ერთი ასიმეტრია ეჩხირება თვალში, ანუ ეპისტოლე (ლადარია [illegible]) ეპისტოლეში თვალცხადლივ ნათქვამია: „**ქვეყნის კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობაზეც. ჩვენ მათთან აუცილებლად უნდა გავაღრმავოთ კავშირი, რის წინაპირობადაც უნდა იქცეს კულტურათა შორის დიალოგი; ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა ხელს შეუწყობს ჩვენს შორის არსებული სხვა საკითხების გადაწყვეტასაც**".

როგორც ხედავთ, [illegible] ეპისტოლეს ამ სიტყვებში არაფერია. მაგრამ ასე ნამდვილად არ ხედავს ხელისუფლების სამრეკლოზე გადმომდგარი ლადარია (ის ხომ ხელისუფლების რადარია!ძ), რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, რომ „ამხილოს" პატრიარქი, ბოლოს და ბოლოს, თვალი აუხილოს საზოგადოებას და დაანახვოს, თუ რა რუსულ თამაშს თამაშობს ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი.

აბა, თავად მოისმინეთ, როგორ ჟღერს ეს უშმი სიტყვები მკრეხელურ ბაგეთაგან: „**წინა ციტატა იმის დასადგენად დაგვჭირდა, რომელი „მეზობელი სახელმწიფოები" იგულისხმება აქ. სულ ოთხია. ამასთან, თურქეთი და აზერბაიჯანი უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ამ შემთხვევაში „ერთმანეთის სულიერი, მეცნიერული და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენა" რაც იქნებოდა XVII საუკუნის ქრონისტის თვალში, ეს უკვე წავიკითხეთ. დარჩა სომხეთი და რუსეთი. პირველი უნდა გამოვრიცხოთ: აქ ერთმანეთის სულიერ, მეცნიერულ და მატერიალურ ფასეულობებს როგორ წარმოაჩენენ, კარგადაა ცნობილი სხვადასხვა არქიტექტურული ძეგლის გარშემო ატეხილი აურზაურის წყალობით.**

**ერთი სიტყვით, ეს იდუმალი „მეზობელი სახელმწიფოები" სხვა არაფერია, თუ არა რუსეთი**".

და ეს რომ ასეა, ოთხ სახელმწიფოში რომ ერთი სახელმწიფო და ისიც რუსეთია ნაგულისხმები, ამას თურმე „**თუნდაც ის მოწმობს, რომ ამჯერად სააღდგომო წირვაზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მწყემსმთავარს ხელთ ეპყრა ახალი რუსული კვერთხი**"...

შე არაკაიკაცო და არდალოცვილო (ხელი და პირი მკრეხელი ლადარიასკენ მიქნია!ძ, პატრიარქი თუ რომ სააღდგომო წირვაზე საჯაროდ რუსული კვერთხის (თანაც ახლის!ძ ხელში ჭერას არ მოერიდა, რუსეთს რა, ცალკე მეზობელ ქვეყნად ვერ დაასახელებდა? მაინცდამაინც სხვა სამ სახელმწიფოში უნდა შეეფუთა და მრავლობითი რიცხვი მოეცა?! (ამ შინ რუსეთის იდუმალი ჯაშუშის სურათი, ალბათ, შთამბეჭდავი ვერ გამოვიდოდა!ძ. აი სადამდე მიდის ეს ეშმაკის ცხენზე შემჯდარი „24 საათის" პრესომბუდსმენი!



რაც შეეხება ამ „მაგიურ" მრავლობით რიცხვს, ლადარია ახლაც უმალ „პოულობს" გამოსავალს: „**რუსეთი ხომ ფედერაციაა, ბატონებო, აქ ეპისტოლის ავტორი, როგორც ეტყობა, იმას გულისხმობს, რომ ურთიერთობა „უნდა გავაღრმავოთ", ესე იგი, დავეწაფოთ და წარმოვაჩინოთ მოძმე უდმურტებისა და ჩუვაშების, ტუველებისა**...

# გაასიმეტრიულებული ლადარიას ისტორიული შეუთავსებლობა ცხოვრებისეულ სინამდვილესთან

## ანუ ვის აფარებს „გაუგებარი ქარაგმების მოკლე საბანს" „24 საათის" ე. წ. კალამგირი პრესომბუდსმენი, რომელიც ამასთანავე ვიღაცათაგან იქ ჩადგმული რადარია

პატრიარქს ხან ეპისტოლედ მოიხსენიებს!ძ, რომელიც ერთმანეთს ადარებს ორ მეფეს – გამაჰმადიანებულ როსტომსა და თეიმურაზს (ლადარიას სულაც არ ანაღვლებს, თუ იმ დროის ქრისტიანი მრევლისთვისაც და, ბუნებრივია, ქრისტიანი ქრონისტისთვისაც (ჟამთააღმწერლისთვისაც) როსტომის მიერ ისლამის მიღება უზნეობასთან და „სოდომ-გომორთან" იყო ასოცირებული!ძ. ეს შედარება „24 საათის" პრესომბუდსმენს ბოროტ და თანაც შორს გამიზნულ ასიმეტრიად მიაჩნია, ახლა, „**პოლიტკორექტულობასა და ისლამის მიმართ შეუსაბამო დამოკიდებულებაზე წუწუნს**" არ იწყებს, უბრალოდ აღნიშნავს, რომ „**შუასაუკუნეობრივი ღირებულებები, როგორც ეტყობა, ჯერაც ცოცხალია**" (ხედავთ, პატრიარქი თავის პატრიოტიზმთან ერთად შუა საუკუნეებში გადაჰყავს!ძ და იქვე დასძენს, ამის აღნიშვნა სულ სხვა რამისთვის მჭირდებაო.

ახლა ვნახოთ, ეს სხვა რამე რა არის, რას აბრალებს პატრიარქს ეს „ეშმაკთან ზავშეკრული" კალამგირი, ანუ კალმის ბოროტად გამომყენებელი პრესომბუდსმენი.

ნათქვამი რომ არის, ყველა ბოზს ყველა სხვაც ბოზი ჰგონია და ყველა ქურდს – ყველა სხვაც ქურდიო, დაახლოებით ასეთ ამბავთან გვაქვს საქმე. ლადარია თავისი ვიწრო, ღარიბი თვალით კითხულობს ეპისტოლეს და თავისი შავი აზრების დამადასტურებელ „ლოგიკას" პოულობს იქ.

და ბაშკირების და, ვინ მოსთვლის, კიდევ ვისი „სულიერი" მეცნიერული და მატერიალური" ფასეულობები. **ან კი რას გადავეკიდეთ ამ გრამატიკულ კატეგორიებს – განა თვით ბიბლიაში ღმერთი მრავლობით რიცხვში მდგომი სიტყვით არ მოიხსენიება? – „ელოჰიმ". ვისთვისაც რუსეთი ღმერთია, გაიგებს და დააფასებს.**

მაგრამ პატრიარქის ჯაშუშად „მხილება" თუ „გამოაშკარავება" ამით არ მთავრდება. მთავარი ჯერ წინ არის. ეს „ეშმაკთან ზავშეკრული" ვაიოპონენტი კიდევ ერთ ასიმეტრიას უბრუნდება (მართალი გითხრათ, სათვალავი ამერია, უკვე მერამდენე ასიმეტრია მოივარგა ამ მამაცხონებულმა!ძ და პირდაპირ აცხადებს, პატრიარქისათვის ბოლომდე „ფარდის ასახდელად" ეპისტოლედან ახალი ციტატის მომარჯვება დაგვჭირდებაო. ამ ციტატაში კი ნათქვამია: „**საერთოდ, სახელმწიფო უნდა განვითარდეს და მისი იდეოლოგიის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები, არამედ ეროვნული ინტერესები. ამ ინტერესებს უმნიშვნელოვანესად უნდა მიიჩნევდეს როგორც ხელისუფლება, ისე პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მასმედია. იგივე ითქმის ჩვენს თითოეულ მოქალაქეზეც**".

აი სწორედ ეს ეროვნული ინტერესების ხსენება ასივებს გულზე ამ ჩვენს გაასიმეტრიულებულ ოცდაოთხსაათელს და ძალიან ბევრი რამ ეჩვენება უცნაურად, მაგრამ ყველაფერი თურმე თავის ადგილზე დადგება და ყველაფერს ახსნის ეპისტოლეს ორი ასიმეტრიული წყვილი: „**ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები**" და „**გარე გეოპოლიტიკური ფაქტორები**". და ამ ორი ასიმეტრიული წყვილის დაპირისპირებას მოსდევს ასეთი ლათაიურ-ლადარიული დასკვნა: „**რაღა ბევრი გავაგრძელოთ: პირველი რუსეთია, მეორე კი დასავლეთი. საერთო უწყება კი შემდეგნაირად ჟღერს: ხელისუფლება, პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოქალაქეები ერთიანად უნდა შებრუნდნენ რუსეთისაკენ და ზურგი შეაქციონ დასავლეთს. ერთი ხომ „სახელმწიფოებია", მეორე კი მხოლოდ უპიროვნო და უფორმო „ფაქტორები"**".

ხედავთ, როგორ სხარტად გაშიფრა ყველაფერი! ასე მარჯვედ, მგონი, თვითონ შლიმანსაც არ ამოუხსნია ძველი ეგვიპტური იეროგლიფები. მტერიც ხელად თავის ადგილას დააყენა და მოყვარეც. თუმცა, ჩანს, კარგა გვარიანი ძალა დაადგა ამდენ ამოხსნა-გაშიფვრაში და უკვე ესოდენ ძალადამდგარი შესძახებს: ან კი რატომ უნდა ელაპარაკებოდეს ეკლესია საკუთარ მრევლს ასეთი რთული ქარაგმებითო. არ სჯობია, პირდაპირ მოგვიწოდოს, მაგალითად, უარი ვთქვათ „ნაბუკოს" პროექტზეო (სხვათა შორის, შეუძლებელია, ამ თავფეხიანად და ტანსაცმლიანად მედასავლეთემ არ იცოდეს, რომ ამ პროექტის განხორციელება უკვე ფრიად საეჭვოდ გამოიყურება!ძ. დასაწყისში კატეხიზმოს საწყისებს გვამცნობენ, თითქოს მსუბუქი ეჭვი ეპარებათ იმაში, რომ საქართველოში ქრისტიანობა ლამის 19 საუკუნის წინადაა ნაქადაგებიო. პირდაპირი ტექსტით და დაწვრილებით გვიყვებიან იმას, რაც ყველა ქრისტიანმა ისედაც უნდა იცოდესო. მაგრამ მერე, როცა საქმე ეხება პოლიტიკურ საკითხებს (რისი ცოდნაც ყოველ ქრისტიანს ნამდვილად არ მოეთხოვება!ძ, გაუგებარი ქარაგმების მოკლე საბაბს აფარებენ პრორუსულ მისწრაფებებსო.

და რაც მთავარია, თურმე ამგვარსავე ქარაგმებს მიმართავს რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი, როცა „**ნატოს გეგმიურ სამხედრო სწავლებით გამოწვეულ გაღიზიანებას გამოხატავს**". „**ნატოს**" მაგივრად „**დასავლეთის გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს" ახსენებსო.** ხოლო როგორც ჩვენი პატრიარქის, ისე რუსეთის პრეზიდენტის ქარაგმების წყარო „**ერთი და იგივეა – საბჭოთა პროპაგანდის მოყირჭებული ინვენტარიო**".

მკითხველს, ალბათ, ერთი სული აქვს იმის შესატყობად, თუ ამ ყველაფერს მაინცდამაინც ასიმეტრია რატომ დაარქვა ამ ჩვენმა „ეშმაკთან შეკრულმა" პრესომბუდსმენმა. რატომ და თურმე ძალიან მარტივი მიზეზისა გამო. ეს მარტივი მიზეზი კი ის არის, რომ რუსეთი თუ დასავლეთი არ შეიძლება იყოს არჩევანი, დილემა, ანუ როცა ორი არასასურველი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია. „ამაზე დასავლეთშიც და რუსეთშიც ამბობენ, ერთმანეთში ნუ აურევთ საღვთო ნიჭსა და ერბოკვერცხსო, – გულდაჯერებით ბრძანებს ეს ჩვენი ეკლესიის მოძულე და გარეგარე მაცქერალი კაცი. – ვითარება იმას ჰგავს, როცა სასწორის ერთ პინაზე მარმარილოს ლოდი დევს, მეორეზე კი ბამბის ქულა. ზეგარდმო მონაბერი შთაგონება არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ ასეთი სასწორი რხევას არ დაიწყებს, შეფასებისთვის წამიერი ყოყმანის საბაბსაც ვერ მისცემს თვალხილულ ადამიანს".

იხ. 6 გვ.



ღია წერილი

მე, რიგითი ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი, „თავისუფლების ინსტიტუტის" აყროლებული კვერცხიდან გამომტვრეულ ეშმაკეულს – ნოდარ ლადარიას – ვაფრთხილებ და ვეუბნები: იმის გამო, რაც მან გაზეთ „24 საათის" ფურცლებზე შხამი გადმოანთხია, სადაც უკიდურესად შეურაცხყო და ცილი სწამა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს – ილია მეორეს, მიბრძანდეს წმინდა სამების ტაძრის გალავნის სიახლოვეს და თავისი გესლიანი და მახინჯი ცხვირ-პირით მიწა მოთხაროს და პატიება სთხოვოს უფალსა და მთელ საქართველოს, თორემ ჩვენს სარწმუნოებრივ დათმენასა და მპატიებლობას საზღვარი მთლიანად ამოეწურა.

გათავდა, ამის პატიება უკვე წარმოუდგენელია!

გეშინოდეთ, კაცთმოძულე იქედნეს ნაშობნო!

*რეზო ამაშუკელი*

*თბილისი, 2009 წლის 25 აპრილი*

ვარაუდი

# 100 რეცეპტი „დამწყები“ მოქალაქეებისთვის

## საზოგადოება უფრო ადრე გაჩნდა, თუ პრეზიდენტი?

**ასე არ გვინდა, ათიც გვეყოფა, გვითხარი თუ იციო, — იტყვის გონიერი მკითხველი და მართალიც იქნება. „დამწყები“ მოქალაქე რას მიქვიანო?! — იკითხავს მკითხველის აღშფოთებული ნაწილი და ისიც თავისებურად მართალი იქნება. ამ თავისებურ „სიმართლეებს“ თავისებური ლოგიკური ახსნაც მოეძებნება და და ამ ახსნაში დევს სწორედ იმ „რეცეპტების“ დანიშვნის მიზეზიც, რამაც „რეცეპტის“ დანიშვნის აუცილებლობის შედეგამდე მიგვიყვანა. მოკლედ, ამ ერთი შეხედვით რთულ ფილოსოფიას (როგორც ყველა სირთულეს) მარტივი ახსნა აქვს: კაცობრიობის უმთავრეს კითხვას — „ქათამი უფრო ადრე გაჩნდა, თუ კვერცხი?“ — ვინ როგორ პასუხს გასცემს.**

თანამედროვე ქართულ საზოგადოებას კი ამ კითხვაზე მეტად, ამ კითხვის პერიფრაზზე პასუხი აინტერესებს და სჭირდება: საზოგადოება უფრო ადრე გაჩნდა, თუ პრეზიდენტი? ანუ ვინ ვინ „შვა“ — საზოგადოებამ პრეზიდენტი თუ პრეზიდენტმა საზოგადოება?

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: დამოუკიდებელ საქართველოში სამივე პრეზიდენტი ლამის 100%-იანი მხარდაჭერით ავირჩიეთ, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ვაცადეთ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვა... აღმოჩნდა, რომ ჩვენ სურვილების რეალიზაციისა და აღტკინების უნარი „იალბუზზე მაღალი“ გვაქვს; ხოლო ჩვენი მოთმინების მინიმუმის ზღვარი ცხრა თვეზე (არადა კაცმა რომ გვკითხოს ამ დღეს 70 წელიწადს ველოდით), მაქსიმუმის კი რვა წელზე (თუ არ ჩავთვლით შევარდნაძის სხვადასხვა სტატუსით მმართველობის ოცდაათწლიან „სტაჟს“) გადის!

მიხეილ სააკაშვილს, როგორც ყველაფერში ამაშიც „პირველი“ უნდა რომ იყოს და „რეკორდის“ მოხსნას ათწლიანი პრეზიდენტობით (2003-2013 წ.წ.) ლამობს. მას უნდა, ბევრს — არა!

მარტივი არითმეტიკით თუ მივუდგებით ამ საკითხს, აღმოჩნდება, რომ ნებისმიერ რიცხვს მივუმატებთ, გამოვაკლებთ, გავყოფთ თუ გავამრავლებთ ასევე ნებისმიერ მეორე რიცხვზე, საბოლოო ჯამში მაინც ნულს მივიღებთ. ამიტომაც არის აგერ უკვე ოცი წელია ყველა პოლიტიკური მოვლენა (პრეზიდენტების დამხობა-გადადგომის ჩათვლით) საქართველოში ნულოვანი შედეგის მომტანი.

გამოსავალი კი (როგორც ყველაფერი ქართულის), როგორც ყოველთვის, არის და თან არ არის.



პირადად მე საქართველოს სამი პრეზიდენტიდან არც ერთი არ ამირჩევია და ამის გამო არც სინანულში ჩავვარდნილვარ როდესმე, მაგრამ ამით ჩემი წილი პასუხისმგებლობა არც შემცირებულა და არც გაზრდილა, რადგან საერთო სურათს ადამიანთა ერთობლიობა, ანუ ხალხი ქმნის და არა კონკრეტული ადამიანი.

დრომ და გამოცდილებამ (რომელიც ადრე თუ გვიან ყველაფერს თავის სახელს არქმევს), საქართველოს პირველი და მეორე პრეზიდენტების მმართველობის მაგალითით ცხადყო, რომ მხოლოდ პატრიოტიზმი (თუნდაც იგი თვითგვემამდე მოწამეობრივი იყოს), ისევე არ არის საკმარისი სახელმწიფოს გონივრულად მართვისთვის, როგორც ეროვნულ აზროვნებასა და ფასეულობას მოკლებული პოლიტიკური განსწავლულობა.

რიგით მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირველ პრეზიდენტს უნიჭოდ ჰბაძავდა ეროვნულ სულისკვეთებაში, ანუ იმაში, რაც არ გააჩნდა, ხოლო მეორისგან, კარგი „მოსწავლე“ რომ ყოფილიყო, მინიმუმ ქცევის წესებს მაინც ისწავლიდა... თუმცა სააკაშვილი ოდიოზური გამოდგა, როგორც პოლიტიკური „ჰიბრიდი“.

საზოგადოების უდიდესი ნაწილი, ის ნაწილი, რომელიც დღეს ქუჩაში დგას, ერთდროულად არის თავისივე ემოციების, ანუ აღტაცებისა და აღშფოთების „ტყვე“. საზოგადოების უმცირესი ნაწილი კი, ის ნაწილი, რომელსაც სახლიდან ქუდი რომ გამოუგდო, ქუჩაში მაინც არ გავა, ასევე მუდმივად არის „ტყვე“, ოღონდ საკუთარი ემოციების კი არა, სტომაქის (რასაკვირველია ობიექტურ მიზეზებს არ ვგულისხმობ, რომელიც ჯანმრთელობას ეხება).

პრაქტიკულად გამოდის, რომ (თუ იშვიათ გამონაკლისებს არ ჩავთვლით) ქართული საზოგადოების უმრავლესობა საკუთარი თავის „ტყვეა“ და ამ დროს თავისუფალი ქვეყნის აშენება სურს.

თავისუფალი ქვეყნის შენებას თავისუფალი არჩევნები, თავისუფალი სასამართლო და თავისუფალი მედია რომ სჭირდება, ამაში ყველა თანხმდება; მაგრამ ერთეულები თუ ფიქრობენ იმაზე, რომ ამ ყველაფერს (როგორც გარდაუვალი აუცილებლობა) თავისუფალი ადამიანები სჭირდება. თავისუფალი ადამიანები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, თავისუფლები არიან მოჭარბებული ემოციებისა და მერკანტელური სურვილებისგან.

სად არიან ასეთი ადამიანებიო? — იკითხავს გონიერი მკითხველი და მართალიც იქნება. სად და აქო! — იტყვის ამ კითხვით განაწყენებული მკითხველი და ნაწილი საპროტესტო აქციების ტრიბუნისკენ, ნაწილი კი სახელმწიფო დაწესებულებებისკენ გაიშვერს ხელს.

ისეთებიც გამოჩნდებიან, რომლებიც საზოგადოებისთვის „ცნობადი სახეებისკენ“ — გამოჩენილი მსახიობების, მწერლებისა და რეჟისორებისაკენ „გადაამისამართებენ“ მზერას; თუმცა არანაირი გარანტია და წინაპირობა არ არსებობს იმისა, რომ ისინი ისეთივე წარმატებული სახელმწიფო მოხელეები იქნებიან, როგორც აქამდე იყვნენ წარმატებული მწერლები, მსახიობები და რეჟისორები.

მოკლედ, ყველას თავისი აზრი აქვს, ყველას თავისი არჩევანი და არგუმენტი. ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ვიდრე თავისუფალი ადამიანებივით მოვიქცევით, ყველამ ერთად და ყველამ ცალ-ცალკე ის არჩევანი უნდა გავაკეთოთ, რომელზედაც თავისუფლების „ვერტიკალი“ დგას და რომელიც თავისი მნიშვნელობით საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევანზე აღმატებულია.

ვიდრე იმაზე დავფიქრდებით, ვინ და რატომ უნდა ავირჩიოთ პრეზიდენტად, ვიდრე იმაზე ვიოცნებებთ, რა ტიპის სახელმწიფოში გვინდა ცხოვრება, უმთავრესი უნდა გავარკვიოთ: ვინ ვართ ჩვენ, ქართულ სახელმწიფოში მცხოვრები მოქალაქეები: ერი, მასა თუ ხალხი?

ამ კითხვაზე პასუხი თავისთავად იქნება პასუხი იმაზე, რა ტიპის სახელმწიფოში უნდა ვიცხოვროთ, ხოლო ქვეყნის მოდელი თავისთავად იქნება იმის განმსაზღვრელი, ვინ შეიძლება იყოს მისი მმართველი.

დიდი პოლიტიკური განსწავლულობა არ სჭირდება ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. დღევანდელი ქართული საზოგადოება ისევე ატარებს მასის ელემენტებს, როგორც ხალხისას და ერისას.

სამწუხაროდ, ნებისმიერი არჩევნების შემთხვევაში „ხმები ითვლება და არ იწონება“; მაგრამ ეს ის იშვიათი გამონაკლისია, როცა მსაზღვრელი შეიძლება იყოს ხარისხი და არა რაოდენობა.

ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებმა, სწორედ ეს შანსი არ უნდა გავუშვათ დღეს ხელიდან, რადგან ხვალ (მიზეზ-შედეგობრივი კავშირით) არათუ არჩევნის გაკეთება, გარდაუვალი შედეგის შეცვლაც შეუძლებელი იქნება.

**P. S.** **რაც შეეხება „რეცეპტებს“ „დამწყები“ მოქალაქეებისთვის, ჯერ ვაღიაროთ რომ „დამწყებები“ ვართ და „მოქალაქეობაც“ იქნება...**

**ელგა ფოლადიშვილი,**

**ХО-ЭОВ-ЭНО**

ფუი ეშმაკს!

# გაასიმეტრიულებული ლადარიას ისტორიული შეუთავსებლობა ცხოვრებისეულ სინამდვილესთან

**(მეხუთე გვერდიდან)**

ჩვენ კი, ჩვენს პატრიარქთან ერთად, თურმე თვალდახუჭულები და თვალისჩინწართმეულები ვყოფილვართ. ავსა და კარგს ვერ ვარჩევთ. ვერც მარმარილოს ლოდი და ბამბის ქულა გაგვირჩევია ერთმანეთისგან. და ასეთ მდგომარეობაში მყოფნი როგორ მივხვდებით, რას ნიშნავს **„მდგომარეობიდან გამოსასვლელად ბესელიას პადოშიზაცია“**, რისთვისაც უკვე საბოლოოდ გაასიმეტრიულებული ლადარია ბოდიშს უხდის დეპუტატ თორთლაძეს, თუმცა **„ეს არანაირად არ აკნინებს მის პიროვნებას, თუ როგორ უყურებენ სხვებსაც და საკუთარ თავსაც ქართველი პოლიტიკანები“**, რომელთა ერთადერთი ქვეცნობიერი მიზანი **„კოლექტიური შევარდნაძის“** დაბრუნება ყოფილა, რაზეც თურმე ჯერ კიდევ **„შვიდი თუ ექვსი წლის წინათ უწევდა წერა“** ლადარიას.

ამიტომ არის, რომ „24 საათის“ ეს თავმოგიჟიანებული ვაიპრესომბუდსმენი სულ „წყალში უყრის“ ხელისუფლებას გაუთავებელ ამნისტიებსა და შეწყალებებს და გონიერი დათმობისა თუ „კომპრომისის“ მაჩვენებლად არ მიიჩნევს, რადგან ეს ყველაფერი თურმე ერთადერთ შედეგად სახელმწიფოს სისუსტის შეგრძნებასა და დაუსჯელობის განცდას ბადებს, რისი მაგალითიც ქალთა კოლონიაში ბოლოდროინდელი არეულობა ყოფილა, რომელი არეულობის გასამართლებლად კი თვით სოზარ სუბარსაც ვერ მოუძებნია ვერავითარი არგუმენტი... მეტი რა ქნას ამ ერთმა კაცმა, კიდევ უფრო მეტი თავგამოდებით როგორ დაიცვას ეს ხალხის უმეტესობისაგან შერისხული ხელისუფლება!..

და ამასობაში ლადარია „ჩვენი ცხოვრებისეული ასიმეტრიების ჭაობის“ ბოლოში გავიდა. მთავარი სათქმელი თუ დასკვნაც ამ ჭაობის ბოლოდან ამოიძახა: მე, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ, ხმა მივეცი განათლების რეფორმას, ლიბერალურ ეკონომიკას, საერო სახელმწიფოს, კანონიერ უზენაესობას, დანაშაულისადმი ნულოვან ტოლერანტობასო. სწორედ ამის გამო უნდა მიმდინარეობდეს დიალოგი ყოველდღე, ყველა საზოგადოებრივ დონეზე და ყველანაირ, თუნდაც სულ მცირე საგანზეო, თანაც ისე, რომ დიალოგის საგანი, მისი წარმართვის დონე ერთმანეთის შესაბამისი იყოსო და პრეზიდენტის გადადგომას არ ვითხოვდეთ იმ პრობლემის გულისთვის, რომლის გადასაწყვეტად უბნის რწმუნებულიც კმარაო. და როგორც კი საქმეში უბნის რწმუნებული ჩაერევა, სწორედ მაშინ „დაიძლევა“ თურმე ეს ოხერი ეგრეთ წოდებული ასიმეტრია, რომელიც აგრერიგად გვზაფრავს ამ ბოლო დროს და არ გვაძლევს „ნათელი მომავლისკენ წინსვლის“ საშუალებას.

ა, ბატონო, კაციც ამასა ჰქვია და პრესომბუდსმენიც. ნამდვილად დასანანია, რომ ეს მარტო ამ ერთ გაზეთს, მარტო „24 საათს“ პრესომბუდსმენობს. იპოვა თუ არა ხელად მთელი ჩვენი უბედურების მიზეზი? ჩვენ კი მივდგომივართ ამ ჩვენს სიმეტრიულ პრეზიდენტს (დანარჩენები, პატრიარქთან ერთად, მის მიმართ ასიმეტრიულნი ვართ) და გადადექი, გადადექიო, ძილსაც ვუფრთხობთ და პირში ლუკმასაც არ ვადებინებთ...

დასასრულ, როცა საქმეში უბნის რწმუნებულის ჩარევის შედეგად ქვეყანაში ასიმეტრიის დაძლევაზე ლაპარაკობს, ეს არაპატივცემული ლადარია იმით გვამშვიდებს (რასაკვირველია, ისევ ქარაგმულად!), რომ ჩვენ ირგვლივ თურმე ყველაფერი ასიმეტრიული არ ყოფილა და სიმეტრიის თვალსაჩინო ნიმუშად ჩვეული ცინიკური ქარაგმით ის მოჰყავს, რომ საალდგომოდ საპატრიარქო (ანუ პატრიარქი) „ფინანსური ამნისტიის“ ინიციატივით გამოდის, ხოლო ეკონომიკის მინისტრს იერუსალიმიდან საალდგომო ცეცხლი ჩამოაქვსო. და აქვე გვმოძღვრავს (ისევ და ისევ ქარაგმულად!), დაუკვირდით, რა ლამაზად ასწორებს ეს ორი მოვლენა ერთმანეთსო...

ჩვენც ვუკვირდებით და თვალსაჩენად ვხედავთ, რა არამზადობასთან გვაქვს საქმე... რა ანტიხალხურ და ანტიეროვნულ, ანტიქართულ არამზადობასთან!.. პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს ლადარიასეული ვაიკომენტარის ეს ადგილი ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის გაუთვითცნობიერებელ მკითხველს (ყოველ შემთხვევაში უნდა ასეთი შთაბეჭდილების შექმნა), ვითომ საპატრიარქოში ამ მხრივ (ფინანსების თვალსაზრისით) ყველაფერი რიგზე ვერ არის და ფინანსური ამნისტიის მოთხოვნაც ამ ამბავს უკავშირდებაო. სინამდვილეში კი ლადარია „24 საათის“ მკითხველს უმალავს, რომ პატრიარქი კიდევ ერთ წინადადებას სთავაზობს ხელისუფლებას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის აღორძინებას ითვალისწინებს, და რაც ასე სავალალო მდგომარეობაშია სწორედაც ხელისუფლების მოძალადეობრივი პოლიტიკის გამო. ხოლო სიმეტრიის მეორე მაგალითად ცინიკოს ლადარიას (ისევ ქარაგმულად!) ეკონომიკის მინისტრის მიერ იერუსალიმიდან ცეცხლის ჩამოტანა იმისთვის მოჰყავს, ვითომ ეკლესიის გასაკეთებელ წმინდა საქმეს სახელმწიფო აკეთებსო, ამიტომაც სიწმინდე და სიმართლე სახელმწიფოს მხარეზეაო. ეს მაშინ, როდესაც ეკლესია „ხელის ჭუჭყში“, ანუ ფინანსებში ურევს ხელს, რადგან უწმინდურ გზაზეა შემდგარიო...

ერთი სიტყვით, როცა დედაეკლესია, ბუნებრივია, უწმინდესისა და და უნეტარესის მეთაურობით, გვერდში უდგას ზეზე წამოჭრილ თითქმის მთელ საქართველოს, რომელიც სამართლიანად მოითხოვს ქვეყანაში კარდინალურ ცვლილებებს და, უწინარესად, ხუთწლიან სახელმწიფო გამოცდაში სამარცხვინოდ ჩაჭრილი პრეზიდენტის გადადგომას, ზოგ-ზოგთ, ლადარიასნაირთ, ხალხისაგან გამდგართ და მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენის მოსურნეთ, იმდენი თავხედობა და უტიფრობა ჰყოფნით, რომ ქართული სამოციქულო ეკლესია უწმინდურობის ბუდედ წარმოაჩინონ, ერის სულიერი მოძღვარი — უცხო ქვეყნის ჯაშუშად, ხოლო უსამართლობისა და ძალადობის წინააღმდეგ ამდგარი ხალხი — ოპოზიციის, ანუ იმ ქართველი „პოლიტიკანების“ მსხვერპლად, რომელთაც ვითომც თანამდებობების მტანჯველი წყურვილი ჰკლავთ. ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი კი ის არის, რომ დღის წესრიგიდან მოიხსნას ხალხის თვალში საბოლოოდ თავშერცხვენილი პრეზიდენტის მშვიდობიანად გადადგომის საკითხი იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ის პრობლემები, რომელთაც პრეზიდენტს ბრალდებად უყენებენ, თურმე უბრალოდ უბნის რწმუნებულის დონეზე გადასაჭრელია და მეტი არაფერი.

აი ამ „24 საათის“ სიმეტრიულ-ასიმეტრიული თუ სულაც გაასიმეტრიულებული პრესომბუდსმენის მთელი ფილოსოფია, რაც ყველასა და ყველაფრის გალადარიებაში მდგომარეობს და **„ჩემი ამჟამინდელი პატრონის გარდა, ყველა და ყველაფერი ფეხებზე მკიდია“** ნიშნავს, ოღონდ ამ მფარველი პატრონის სიამოვნების გულისთვის სხვათა ბოროტად დაკბენის ხარჯზე...

**გურამ გოგიაშვილი**

პოლემიკა

# ცრუ ისტორია

## ოლეგ ბღაჟბას და სტანისლავ ლაკობას „აფხაზეთის ისტორიის“ სახელმძღვანელოს შესახებ

აფხაზთა რაოდენობის შემცირების პარალელურად იზრდებოდა ქართული მოსახლეობის რაოდენობა. თუ 1886წ. (როდესაც აფხაზებს მიათვალეს სამურზაყანოელები) ქართველები ითვლიდნენ მხოლოდ 25873 კაცს, 1923წ. მათი რაოდენობა გაიზარდა 71181-მდე. მაგრამ ყველაზე საინტერესო ფაქტი მოხდა 1926 წელს, როდესაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 36816-დან გაიზარდა 55918-მდე. ამასთან, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს ს. ლეკიშვილი, არც 1897-1923 წლებში იყო განსაკუთრებით არახელსაყრელი დემოგრაფიული ფაქტორები (ემიგრაცია, რეპრესიები, ეპიდემია და ა.შ.) მოსახლეობის შემცირებისათვის და რაც მთავარია, არც 1923-1926 წლებში შექმნილა შესაფერისი პირობები დემოგრაფიული ბუმისათვის, რომლის შედეგადაც სულ რაღაც სამი წლის მანძილზე აფხაზთა რაოდენობა 20000 კაცით გაზრდილიყო.

სრულიად ცხადია, რომ ამ ერთი შეხედვით უცნაურ ციფრობრივ აღრევას ერთადერთი ახსნა აქვს – სამურზაყანოელებით მანიპულირება. 1886, 1897 და 1926 წლების აღწერისას სამურზაყანოელები მიათვალეს აფხაზებს, ხოლო 1914, 1917 და 1923 წლებში – ქართველებს. საინტერესოა, რომ თვით აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული ლიდერი ნესტორ ლაკობა 1926 წელს ოფიციალურად აღიარებდა, რომ „абхазцев с большой натяжкой около 57-60 тысяч душ. Почему большой натяжкой? – სვამდა კითხვას ნ. ლაკობა, – Потому, что несколько тысяч человек причисляют себя к абхазской народности, но язык у них не обхазский, а менгрельский“. ნ. ლაკობა იმასაც აღიარებდა, რომ მეგრელები ქართველები იყვნენ და თვლიდა, რომ ისინი ქართველობას უნდა მიკუთვნებოდნენ.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ ნებისმიერი მცდელობა სამურზაყანოს მკვიდრი მოსახლეობის აფხაზებად გამოცხადებისა და ამის საფუძველზე აფხაზთა რაოდენობის გაზრდისა XIX საუკუნეში, არის ისტორიული ჭეშმარიტების უხეში გაყალბება, რომელიც მთლიანად მიმართულია აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული ისტერიის გაღვივებისაკენ.

ამავე მიზანს ემსახურება „სახელმძღვანელოში“ განვითარებული თეზისიც მუჰაჯირობის შემდგომ პერიოდში აფხაზეთში ქართველთა „მასობრივი ჩასახლების“ შესახებ. აქცენტი კეთდება აგრეთვე იმაზეც, თუ როგორ გაშალა ამ დროს ქართულმა სამღვდელოებამ ფართო საქმიანობა აფხაზეთში და როგორ ახვევდნენ თავს აფხაზობას ღვთისმსახურებას, მისთვის გაუგებარ ქართულ ენაზე. და ეს იმ ფონზე, როდესაც ავტორები კრინტს არ ძრავენ არც რუსულ და სომხურ კოლონიზაციაზე და არც მთავრობის მიერ მხარეში გატარებულ სრული რუსიფიკაციის კურსზე, რაც კავკასიის რუსული პოლიციური რეჟიმის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის განცხადებით, არც მეტი არც ნაკლები, საჭირო იყო „для полного слияния абхазцев с населеним империи“.

ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას „სახელმძღვანელოში“ უაღრესად ტენდენციურადაა გაშუქებული XXს. ისტორია, განსაკუთრებით 1917-1921 წლების მოვლენები. ისინი ვერ ფარავენ თავიანთ ღია სიძულვილს იმ აფხაზი პოლიტიკური ლიდერებისადმი, რომელთაც აფხაზეთის მომავალი ერთიან ქართულ სახელმწიფოში წარმოედგინა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სახელმძღვანელოს ავტორებისათვის დღესაც კი „მშობლიური გარემო“ რუსული საბჭოურ-კომუნისტური სივრცეა. ამიტომაცაა, რომ ისინი აღფრთოვანებით წერენ ბოლშევიკური რაზმების მიერ სოხუმის „განთავისუფლებაზე“ „от меньшевиков“ (არადა, ამ დროს სოხუმი ბოლშევიკებმა მენშევიკებს კი არ წაართვეს არამედ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“, რომელიც მაშინ რეგიონის ხელისუფლებას განასახიერებდა) და იქ საბჭოური რეჟიმის დამყარებაზე (ამიტომაა, რომ ისინი მწარედ განიცდიან იმას, რომ „Советская Россия в силу политических обстоятельств (договор с германией в Бресте и др.) не имела возможности оказать вооруженную помощь Абхазии“.

ამასთან, „სახელმძღვანელოს“ ავტორები მკითხველს უმალავენ იმას, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის (და არა მენშევიკური საქართველოს) შეიარაღებული რეგულარული ნაწილები, რომლებმაც აღკვეთეს ბოლშევიკური ავანტიურა, აფხაზეთში შევიდნენ არა საკუთარი ინიციატივით, არამედ თავის დროზე აფხაზი ხალხის მიერ არჩეული „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ოფიციალური თხოვნის საფუძველზე. ისე გაუგებარია, რატომ უნდა იყოს გამართლებული რუსეთის შეიარაღებული ჩარევა აფხაზეთში არსებული ხელისუფლების, რომელსაც იმჟამად აფხაზური მოსახლეობის (ხაზს ვუსვამთ მხოლოდ **აფხაზური** და არა რეგიონის მთელი მოსახლეობის) სრული ნდობა ნამდვილად ჰქონდა, დასამხობად და რატომაა დასაძრახი ის, რომ „აფხაზთა სახალხო საბჭომ“, რომელიც ლეგიტიმურობის რაღაც ხარისხის მატარებელი იყო (ყოველ შემთხვევაში მას, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ნდობის მანდატი მაინც ჰქონდა) დახმარებისათვის მიმართა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას?

„სახელმძღვანელოს“ ავტორები ატყუებენ მკითხველს მაშინაც, როდესაც წერენ, რომ „После подавления советской власти в Абхазии меньшевики установили здесь режим военной диктатуры“. ჯერ ერთი, არავითარი სამხედრო დიქტატურა არ ყოფილა. პირიქით, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებულმა, და არა ქართველმა მენშევიკებმა, როგორც წერენ ავტორები, 1918წ. მაისში აღადგინეს „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ხელისუფლება (სხვათა შორის, ამას აღიარებენ კიდეც ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა). ასევე თითიდან გამოწოვილია მტკიცება იმის შესახებ, თითქოს აფხაზეთში ამ დროს ადგილი ჰქონდა მასობრივ ტერორსა და რეპრესიებს. ის ფაქტი, რომ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „სოხუმის ოკრუგში ბოლშევიკური გამოსვლის“ გამო და „სახელმწიფო ღალატში“ დადანაშაულებულ იქნენ რუსეთის აგენტი ბოლშევიკი ავანტიურისტები, ნამდვილად ვერ ჩაითვლება სამხედრო დიქტატურის გამოვლინებად. მით უფრო, რომ არ არსებობს არც ერთი ფაქტი რომელიმე ბოლშევიკი ლიდერის დასჯისა. ის კი არადა, ცნობილია, რომ თვით ნესტორ ლაკობა – აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული წინამძღოლი, ერთი პერიოდი, თანამშრომლობდა კიდეც 1919წ. არჩეულ აფხაზეთის სახალხო საბჭოსთან და მისი დავალებით ასრულებდა კომისრის მოვალეობას ოჩამჩირეში.

„სახელმძღვანელოს“ ავტორები ურცხვად ცრუობენ, როდესაც აცხადებენ, რომ 1917წ. 20 ოქტომბერს აფხაზეთი მიღებულ იქნა ე.წ. *„კაზაკთა ჯარების, კავკასიის მთიელთა და სტეპების თავისუფალ ხალხთა სამხრეთ-დასავლეთის კავშირში“*. სინამდვილეში კი „სამოკავშირეო ხელშეკრულებაში“ სრულიად ნათლად და გარკვევით წერია, რომ „კავშირში“ შედის „горский народ Сухумского края (абхазцы)“.

ასევე სრულ სიყალბეზეა აგებული „სახელმძღვანელოში“ განვითარებული თვალსაზრისი ე.წ „ქართული ოკუპაციის“ შესახებ. სასაცილოა, რომ ამ შემთხვევაში მათ მთავარ არგუმენტად მოჰყავთ გენერალ ა. დენიკინის დემაგოგიური განცხადებები. ეს ის დენიკინია, რომლის მთავარ მიზანს, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა ერთიანი და განუყოფელი რუსეთის იმპერიის




აღდგენა და რომელსაც ამ დიადი მისიის განხორციელებაში მხარში ედგნენ თვით დიმიტრი გულიას მიერ *„Иуда Абхазии“*-იდ შერაცხული ცნობილი სეპარატისტი ლიდერი ალექსანდრე შარვაშიძე და მისი თანამზრახველნი. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ე.წ. „აფხაზი ხალხის“ პეტიცია „მოხალისეთა არმიის“ სარდლობისადმი, რომელშიც მოცემული იყო თხოვნა „О помощи в изгнании Грузии и присоединении Сухумского округа к Росии“, აგრეთვე დაპირება აფხაზთა მხრიდან მხარდაჭერისა „в походе („მოხალისეთა არმიის“ – **ზ.პ.**) против Закавказья“ შეთითხნილი იყო სწორედ გენ. ა. დენიკინის კარნახით.

ასევე სიცრუეა მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სრულიად უსამართლოდ, ძალის გამოყენებით გარეკა „აფხაზთა სახალხო საბჭო“. სინამდვილეში კი, უშუალოდ „მოხალისეთა არმიის“ სარდლობის (მ. ალექსეევი, ა. დენიკინი) ინსპირირებით სოხუმში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ პუტჩს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის სათავეში იდგნენ აფხაზეთის საქმეების მინისტრი პოლკოვნიკი რ. ჩქოტუა და საოლქო კომისარი ი. მარღანია. პუტჩისტებს მხარს უჭერდნენ „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ ყოფილი დეპუტატები (დ. მარშანია, გ. თუმანოვი და სხვ.), „прежде державшихся турецкой ориентации и в настоящее время переменивших ориентацию на Алексеева“. 1918 წლის 9 ოქტომბერს აფხაზ ცხენოსანთა რაზმი საოლქო კომისრის ივანე მარღანიას მეთაურობით, პოლკოვნიკ რ. ჩქოტუას „აფხაზთა ასეულთან“ („Абхазская сотня“) ერთად შეიჭრა „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ შენობაში, სადაც მიმდინარეობდა სხდომა და ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვარლამ შარვაშიძის გადაყენება. მაგრამ ვარლამ შარვაშიძემ მოახერხა დროულად დაკავშირება სამთავრობო ჯარების სარდლობასთან და აფხაზეთში განთავსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ნაწილების შტაბის უფროსის პოლკოვნიკ თუხარელის ოპერატიული მოქმედების შედეგად სახალხო საბჭოს შენობა განთავისუფლებულ იქნა მომხვდურთაგან, ხოლო შეთქმულების ხელმძღვანელები: რ. ჩქოტუა, ი. მარღანია, ვ. ჩიჩბა, გ. აჯამოვი და სხვ. – დააპატიმრეს და თბილისში, მეტეხის ციხეში მოათავსეს.

სრული სიცრუეა აგრეთვე „სახელმძღვანელოს“ ავტორთა მტკიცება იმის შესახებ, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები 1919წ. 13 თებერვალს ჩატარდა დემოკრატიის დარღვევით, ქართული ოკუპაციის პირობებში, რის შედეგად თითქოს „Абхазы, представляющийе в основном независимцев, составляли меншенство (8 депутатов)...“ (ეს მტკიცება, როგორც ჩანს, ეფუძნება იმთავითვე მცდარ ინფორმაციას, მოცემულს 1919წ. 29 სექტემბრით დათარიღებულ ე.წ. „აფხაზეთის სახალხო საბჭოს 14 დეპუტატისაგან შემდგარი ჯგუფის განცხადებაში საქართველოს მთავრობისადმი“. ამ „განცხადებაში“ დეპუტატები „დამოუკიდებელი სოციალისტების“ ფრაქციიდან: ა. ჩუკბარი, მ. ტარნავა, მ. ცაგურია, რ. კაკუბა, დ. ალანია, ს. ჭანბა და სხვ. – ადანაშაულებდნენ საგანგებო კომისარს ბენია ჩხიკვიშვილს იმაში, რომ ამ უკანასკნელმა თითქოს „блестяще выполнил свою задачу (აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისას – **ზ.პ.**), проведя в Совет по преимуществу представителей неабхазского населения, совершенно не связанных ни какой области с интересами края“).

ის, რომ ბ. ჩხიკვიშვილისადმი სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მოღვაწეთა და მათ მომხრეთა მიერ წაყენებული ეს ბრალდება, ისევე, როგორც ს. ლაკობასა და ო. ბღაჟბას მონაჩმახი 1919 წლის 13 თებერვალს ჩატარებული არჩევნების არადემოკრატიულობის შესახებ, არც მეტი, არც ნაკლები, მტკნარი სიცრუე და ისტორიული წარსულის უხეში ფალსიფიკაციაა, ცალსახად მტკიცდება ახლადარჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს დეპუტატთა სიითი შემადგენლობის უბრალო თვალის გადავლებით. ახლადარჩეული აფხაზეთის პარლამენტის 40 წევრიდან, რომელიც თითქოს არჩეულ იქნა ე.წ. „ქართული საოკუპაციო რეჟიმის“ მხრიდან მოსახლეობაზე უხეში ზეწოლის პირობებში, 18 დეპუტატი აფხაზი იყო, ქართველი (უკეთეს შემთხვევაში) – მხოლოდ 16, დანარჩენი 6 კი სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი. უფრო მეტიც, ქართველ დეპუტატთაგან სულ მცირე 2 (მ. ს. უბირია და რაჟდენ კაკუბავა) მოგვიანებით სეპარატისტულად განწყობილ დეპუტატთა (ე. წ. „დამოუკიდებელ სოციალისტთა“) ბანაკში გადაბარგდა. ისმის სავსებით დასაბუთებული კითხვა: როგორ შეიძლება დავადანაშაულოთ ე.წ. „ქართული საოკუპაციო რეჟიმი“ და პირადად ბენია ჩხიკვიშვილი არჩევნების ფალსიფიკაციაში, თუ მათ ისიც ვერ მოახერხეს, რომ არ დაეშვათ პარლამენტში დემოკრატიული საქართველოს ისეთი პირწავარდნილი მოწინააღმდეგეების არჩევა, როგორებიც იყვნენ 1918 წლის 9-10 ოქტომბრის ანტისახელმწიფოებრივი პუტჩის ხელმძღვანელები: რ. ჩქოტუა, ი. მარღანია, დ. ალანია და სხვ., აგრეთვე ალექსეევისა და დენიკინის აგენტი ა. ა. დემიანოვი. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

„სახელმძღვანელოში“, როგორც მოსალოდნელი იყო, განვითარებულია თეზისი იმის შესახებ, რომ ე.წ. „აფხაზეთის სსრ“ 1921-1931 წლებში წარმოადგენდა „დამოუკიდებელ“ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე 1921წ. 16 დეკემბერს გაერთიანდა საქართველოს სსრ-ისთან. ამ პერიოდში თურმე აფხაზეთის სსრ „по своему статусу являлась не автономной, а по сути союзной республикой, имевшей статус суверенного государства“. მათი აზრით, ეს სტატუსი კონსტიტუციურად გააფორმა 1925წ. აპრილში ჩატარებულმა აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ. ეს არის სრული სიცრუე, რომლითაც აგერ უკვე 3 ათეული წელია, რაც აბრიყვებენ ჩვენ აფხაზ თანამემამულეებს სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგები, რომელთა შორის საპატიო ადგილი, რასაკვირველია, ს. ლაკობასაც უკავია. ქართულმა ისტორიოგრაფიამ მთელი დამაჯერებლობით აჩვენა აფხაზური სეპარატიზმის ამ ყალბი პოსტულატის აბსურდულობა და დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით საფუძველი სრულიად მკაფიოდ დაადასტურა უდავო ფაქტი – მიუხედავად იმისა, რომ 1921წ. 16 დეკემბერს თბილისში დადებული ხელშეკრულებით, აფხაზეთი, ფორმალურად, თითქოს ითვლებოდა სამოკავშირეო რესპუბლიკად, „დე ფაქტო“ ის ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენდა.

აფხაზეთის შესვლა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში (და არა ორი თანასწორუფლებიანი სუბიექტის – საქართველოს სსრ-სა და აფხაზეთის სსრ-ის გაერთიანება ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოში) დადასტურებული იყო აფხაზეთის სსრ-ის (1927წ.), საქართველოს სსრ-ის (1922წ.) კონსტიტუციებით. სსრკ-ის შექმნის შესახებ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში **აფხაზეთი არაა ნახსენები ამ ახალი გაერთიანების – სსრკ-ის – დამოუკიდებელ სუბიექტად** (ასეთი საქართველოს სსრ-ც კი არ იყო) და **ის ფიგურირებდა ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის.**

აფხაზეთის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, ოფიციალურადაა დაფიქსირებული სსრ კავშირის 1924წ. კონსტიტუციაში: „автономный республики Аджарии и Абхазии, Юго-Осетинская, Нагорно-Карабахская и Нахичеванская автономные области посылают в Совет Национальностей по одному представителю“. ის, რომ აფხაზეთის სსრ იმთავითვე იყო საქართველოს სსრ-ში შემავალი ავტონომიური ერთეული, ჩანს იქიდანაც, რომ მისი ბიუჯეტი იყო საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი, ხოლო აფხაზეთის სამთავრობო უწყებები და პარტიული ორგანოები ანგარიშვალდებულნი იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, პარტიული სტრუქტურები კი – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე.

**ზურაბ პაპასქირი,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე.**

(დასასრული იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 81-82.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მოსკოვი საბაბის ძიებაში

**არის თუ არა საქართველო-რუსეთის ახალი ომის შესაძლებლობა. ჩვენ გვაინტერესებს ამ ომის ალბათობა და ამიტომ გავაანალიზოთ გუშინდელი ომი. როგორი იყო რეალური მიზეზები ომისა რუსეთსა და საქართველოს შორის? იდეა ბევრია, შევეცადოთ, გავარკვიოთ, რომელი მათგანია უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან.**

ომის ძირითადი მიზეზი, რუსეთის მხარის განცხადებით, არის ის, რომ იგი იძულებული იყო, ჩართულიყო საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს ტერიტორიაზე თავისი საკუთარი მოქალაქეებისა და ოსების გადასარჩენად. ვინაიდან მიზეზი, უდავოდ, მნიშვნელოვანია, მოგვიწევს უფრო დაწვრილებით გავერკვეთ საქმეში.

მთელი ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ეს არის არა მიზეზი, არამედ ლამაზი საბაბი, რომელიც ეყრდნობა ნებისმიერი ადამიანის მთავარ ღირებულებას, მის სიცოცხლეს. რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს ამის აღიარება, ხელისუფლებას არ შეუძლია ფასი დასდოს ადამიანებს სახელმწიფოს ინტერესებზე უფრო მეტად. ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს, რომ ჩეჩნეთში დაიღუპა რუსეთის ათეულ ათასობით მოქალაქე კრემლის ბრძანებით, როდესაც მათ დამოუკიდებლობა მოინდომეს. ამიტომ გულუბრყვილობაა, ვივარაუდოთ, რომ რუსეთი წავიდა ომზე სხვა ქვეყანასთან, რათა გადაერჩინა რამდენიმე ათეული საკუთარი მოქალაქე და, მით უმეტეს, გადაერჩინა ოსები. გაურკვეველია კიდევ რამდენიმე მომენტი: რას აკეთებდნენ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, როდესაც უკანონოდ იმყოფებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და საერთოდ როგორია ეს საფრთხე ამ ადამიანთა სიცოცხლისთვის. ეტყობა, რეალური საშიშროება საკმარისი არ იყო, ვინაიდან მოუწიათ წასულიყვნენ სხვადასხვა მაქინაციებზე. მაგალითად, ოსებსა და ქართველებს შორის სროლიდან უკვე რამდენიმე საათის შემდეგ რუსეთის ყველა არხზე განაცხადეს, რომ დაიღუპა 2-3 ათასი კაცი. როგორ მოასწრეს მათი დათვლა, გამოცანად რჩება. შემდგომში აღმოჩნდა, რომ დაიღუპა სულ 160 კაცი. ეს რუსეთის მხარის ოფიციალური მონაცემებით. რატომ მოვიფიქროთ საფრთხე და დავაშინოთ საკუთარი ხალხი, თუ არა იმისთვის, რომ შევქმნათ შესაბამისი საბაბი? მოქალაქეების შესახებ: რუსეთის მოქალაქეები საერთოდ უკანონოდ არც უნდა ყოფილიყვნენ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მით უმეტეს ცხელ წერტილებში. ეს იწვევს შეკითხვებს, რას აკეთებდნენ ისინი იქ? მშვიდობისმყოფელებზე: საქართველო რუს სამშვიდობოებს ოფიციალურად სთხოვდა, დაეტოვებინათ რეგიონი უკვე რამდენიმე წელიწადია, და თავად სამშვიდობოებსაც ხომ სახიფათო სამუშაო ჰქონდათ, მათ იცოდნენ, თუ რისთვის იმყოფებოდნენ ისინი ცეცხლის ხაზზე და მათი უშიშროების გარანტია შეუძლებელი იყო. ცხადია, რომ რუსეთს ამოძრავებდა სხვა ინტერესები, ვიდრე მშვიდობის დაცვა პლანეტაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებოდით რუსეთის არმიის „მშვიდობის იძულების“ ოპერაციის მომსწრე ყოველდღე მთელს მსოფლიოში, მაგალითად ღაზის სექტორში ან ტაილანდში. მაგრამ, ალბათ, კრემლისთვის ოსების სიცოცხლე უფრო ძვირფასია პალესტინელებისაზე, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას სხვა კონფლიქტებში „ჩაურევლობის“ პოლიტიკა. თუ რუსეთი იბრძოდა საქართველოსთან არა ოსების გადასარჩენად, მაშინ რისთვის? სახელმწიფოს ინტერესებისთვის, კიდევ განა რისთვის შეიძლებოდა ებრძოლა მას! ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს თავისი ინტერესები. რუსეთის ფედერაციის მთავარ ინტერესს იწვევს ენერგოშემცველები, უფრო ზუსტად კი მათზე კონტროლი და მონოპოლია მათ გაყიდვაზე. და აქ ყველაფერი თავის ადგილზე ჯდება. რუსეთის ფედერაციისგან დამოუკიდებელ საქართველოს ემუქრება საფრთხე სწორედ რუსეთის მონოპოლიებისგან ენერგოშემცველების ბაზარზე. საქართველოს გავლით უკვე აგებულია რამდენიმე მცირე გაზსადენი რუსეთის გვერდის ავლით და მუშავდება კიდევ რამდენიმე დიდი პროქტი – „ნაბუკო“ და „თეთრი ნაკადი“. როდესაც ეს პროექტები აიგება, რუსეთი დაკარგავს შემოსავლის დიდ ნაწილს და, რაც მთავარია, მონოპოლიას ენერგოშემცველების მიწოდებაზე და ევროპაზე ზემოქმედების შესაძლებლობაზე. როგორც შედეგი, კონტროლის შესუსტება დაიწყება დსთ-ს ქვეყნებზე და ა.შ. შედეგად რუსეთის ფედერაციას აღარ ექნება შესაძლებლობა, გადაწყვიტოს საშინაო საკითხები და ფედერაცია დაიწყებს დაშლას, მთლიანად გაიმეორებს სსრ კავშირის ბედს. აი, საქართველოსთან ომის რეალური მიზეზი!.

ამ ომით რუსეთს სურდა ორი კურდღლის დაჭერა: დაიბრუნოს კონტროლი საქართველოზე და აჩვენოს დსთ-ს დანარჩენ ქვეყნებს, თუ ვინ არის სახლში ბატონ-პატრონი. მაგრამ იმდენად, რამდენადაც გაანგარიშება არ იყო სწორი, ან სათანადო დენთი არ ეყოთ, ანდა კიდევ სხვა რამ, მაგრამ რუსეთმა ვერ მიაღწია თავის მიზნებს. და როდესაც მიხვდა, რომ სამშვიდობო მანდატს საქართველოში მას აღარავინ გაუგრძელებს, ცარიელი ხელებით უკან დაბრუნება კი, თანაც სირცხვილიც, უბრალოდ, უგუნურობა იქნებოდა, დაიწყეს მოუფიქრებლად და აჩქარებულად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ამ ანკლავების გარეშე საქართველოზე კონტროლი საერთოდ გამორიცხულია, ასე კი რაღაც შანსი მაინც კიდევ რჩება. აღიარება კი მოახდინეს რამდენიმე დღით ადრე თავად მედვედევის ხელმოწერით, საფრანგეთის პრეზიდენტის სარკოზის შუამავლობით დადებული ხელშეკრულების დარღვევით. ეს ყველაფერი მეტყველებს იმის შესახებ, რომ დასახული მიზნები არ იქნა მიღწეული. რა გვაქვს დღეს? დღეს რუსეთი არის მონოპოლისტი ევროპაში ენერგოშემცველების მიწოდების საქმეში, მაგრამ ესმის, რომ ევროპა ეძებს ალტერნატიულ გზებს. საქართველოსთან საკითხის გადაჭრა ვერ მოხერხდა და გაზსადენების გაყვანის ალბათობა რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით დღითი დღე იზრდება. მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, რომ მოსკოვი შეურიგდეს ასეთ სიტუაციას და დარჩეს უმოქმედოდ. როგორც ცნობილია, დაჭრილი მხეცი ყველაზე საშიშია, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ რუსეთისგან მომავალში ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ყველაზე წარმოუდგენელიც, ვინაიდან მას დასაკარგი აღარაფერი აქვს. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ნაკლებად სავარაუდოდ გვეჩვენებოდა ისეთი მოვლენები, როგორიცაა ომი საქართველოსა და რუსეთს შორის და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემდგომი ოკუპაცია. დღევანდელი სიტუაციის გათვალისწინებით, არ შეიძლება ვიქონიოთ იმის იმედი, რომ დაპირისპირება საქართველოსთვის დამთავრდება და საფრთხე რუსეთის მხრიდან უკან დაიწევს. ალბათ, უფრო სხვაგვარად იქნება საქმე და დროთა განმავლობაში საშიშროება გაიზრდება კიდეც. და შეიძლება კვლავ მოხდეს შეიარაღებული კონფლიქტი. მოსკოვი ერთმნიშვნელოვნად არ აპირებს უარი თქვას თავისი მონოპოლიის შენარჩუნებაზე ენერგოშემცველებზე. ესე იგი ომი გაგრძელდება და ვინაიდან „წითელი ხაზი“ გადის საქართველოს ტერიტორიაზე, დაძაბულობა აქ არ შენელდება სიტუაციის სრულ განმუხტვამდე.

როგორც ამბობენ, ომი მეფეთა ბოლო საბაბია. და თუ რუსეთი ვერ შეძლებს დაამყაროს კონტროლი საქართველოზე მშვიდობიანი საშუალებებით, დიდია ამ კონტროლის დამყარების მცდელობა სამხედრო საშუალებით. მაგრამ ამისთვის მოსკოვს დასჭირდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საბაბი, და თუმცა დღეს საბაბის მოძებნა უფრო რთულია, გამოუვალ სიტუაციაში ნებისმიერი მათგანი გამოდგება.

**ნიკოლოზ ჭიჭინავა**

Грузия

# სააკაშვილი, არდადეგები ბოდრუმში

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 4 დღით დასასვენებლად ბოდრუმში პირადი თვითმფრინავით ჩამოფრინდა.**

პრეზიდენტი სააკაშვილი ბოდრუმმილას აეროპორტში დღისით გაძლიერებული დაცვის თანხლებით ჩამოფრინდა. აეროპორტში მყოფ ჟურნალისტებს ფოტოების და ვიდეოს გადაღების უფლება არ მისცეს. სააკაშვილის თვითმფრინავიდან 15 ჩემოდანი ჩამოტვირთეს. საქართველოს პრეზიდენტმა



„ვი-აი-პი“ გასასვლელით არ ისარგებლა და მისი ესკორტი, რომელიც 6 მანქანისგან შედგებოდა, ბოდრუმის სასტუმრო „მარმარასკენ“ (Marmara Hoteld გაემართა. ბოდრუმში 4-დღიან არდადეგებზე სააკაშვილი 8 თანმხლებ პირთან ერთად ჩამოვიდა, მათ შორის გახლდათ მისი პირადი მდივანიც. პრესას, რომელიც შეეცადა აეროპორტიდან სასტუმროსკენ მიმავალ გზაზე სააკაშვილის ესკორტს უკან გაჰყოლოდა, გზა უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა გადაუღობეს.

დასვენების დროს საქართველოს პრეზიდენტს იზმირის საპატიო კონსული უმასპინძლებს. ის სპეციალური იახტით კუნძულებზე (Orak Island, Cedar Islandd გაემგზავრება, სადაც დროს იქ მიმდინარე დღესასწაულზე გაატარებს. პრეზიდენტი ბოდრუმს დასასვენებლად ბოლოს 2007 წლის 23 ივნისს ეწვია.

საქართველოს პრეზიდენტი ბოდრუმში „მარმარა ჰოტელში“ გაჩერდა, სადაც ის გარკვეულ დროს აუზთან ატარებს და ირუჯება. ლურჯ შორტებში, თეთრ მაისურსა და სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილი საქართველოს პრეზიდენტი ბოდრუმის ციხე-სიმაგრის ხედით ტკბება, კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს, ბევრს საუბრობს ტელეფონზე, სვამს ფორთოხლის წვენს და სასტუმროს გერმანელი და დანიელი ტურისტების ბავშვებს ეკონტაქტება.

**იასარ ანტერი**

Hürriyet

***(უცხოეთის პრესის მასალები იბეჭდება შემოკლებით).***

# ცუდი მანევრები

**დამთავრდა ზამთარი, და მტრების ჯარები მზად არიან, გააგრძელონ შარშან აგვისტოში შეწყვეტილი კონფლიქტი. შავი ზღვის ფლოტმა ზღვაში გაიყვანა ყველაფერი, რასაც შეეძლო მოძრაობა, ფლაგმანის – სარაკეტო კრეისერის „მოსკოვის“ მეთაურობით, მათ შორის არიან 4 დიდი სადესანტო გემი „ცეზარ კუნიკოვი“, „იამალი“, „სარატოვი“ და „ნოვოჩერკასკი“ საზღვაო ქვეითი ჯარებითა და ჯავშანტექნიკით. გემების შემადგენლობა პრაქტიკულად ისეთივეა, როგორიც იყო აგვისტოს ომის დროს.**

ქართველებს ომამდე ორი ძველი სარაკეტო კატარღა ჰქონდათ, მაგრამ აგვისტოში მოლაპარაკების დაწყების შემდეგ ისინი ხელში ჩაიგდეს და ჩაძირეს ფოთის პორტში რუსეთის ჯარებმა. ამიტომ შავი ზღვის ფლოტს არავისთან აქვს საბრძოლი. სხვა საქმეა – დიდი სადესანტო გემები საზღვაო ქვეით ჯარებთან ერთად. აგვისტოში ფლოტმა აფხაზეთში დაზავების ხაზზე გადმოსვა საზღვაო ქვეითი ჯარის გაძლიერებული პოლკი საქართველოში შემდგომი შეჭრისთვის. ამავე დროს, ფლოტთან ერთად რუსეთმა მოახდინა სახმელეთო ჯარების კონცენტრაცია ახალი შესაძლო ომისთვის.

ბუნებრივია, დასაწყისში სამხედრო უწყებებმა მას უწოდეს „პროვოკაცია“ და „ფალსიფიკაცია“. აიო, მიმდინარეობს „გეგმიური შემოწმება ზამთრის პერიოდის დამთავრებასთან დაკავშირებით“, არავითარი ფლოტი საქართველოს ნაპირებისკენ არ წამოგვიწევია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არაფრის კონცენტრაცია არ ხდებაო და ა.შ. მაგრამ ცნობები საბრძოლო გემების საბრძოლო გამოსვლის შესახებ სტავროპოლიდან გამოაქვეყნა უკრაინის ხელისუფლებამ, ხოლო ევროკავშირის მეთვალყურეებმა დააფიქსირეს რუსეთის ჯარების კონცენტრაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე მაშინ, როდესაც „საქართველოს მხარეს ჯარების არავითარი კონცენტრაცია არ ხდება“.

სიცხადის დიდხანს დაფარვა შეუძლებელი იყო, და საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ აღიარა, რომ „რუსეთის მხარემ მიიღო გამაფრთხილებელი ზომები“ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქართული პროვოკაციებისგან. ნესტერენკომ აღნიშნა, რომ ნატოს ქვეყნები აიარაღებენ ქართველ რევანშისტებს.

ჩვენი უფროსებიდან მხოლოდ დსთ-ს თავდაცვის მინისტრების საბჭოს მდივანი გენერალი ალექსანდრ სინაისკი შეეცადა საჯაროდ განემარტა, რომ 18 ქვეყნის საშტაბო მეცადინეობა – ეს „არ არის მანევრები“, არამედ არის დიდი ხნის წინათ დაგეგმილი სამშვიდობო მეთოდური შეკრება გაეროს ეგიდით.

**პაველ ფელგენგაუერი**

Новая

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 29 მაისს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის № 1) შ.პ.ს. „მერკური-90“-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს ღია აუქციონს. შ.პ.ს. „მერკური-90“-ს ქონება მდებარეობს ქუთაისში, წმ.ნინოსა და ფალიაშვილის № 21/27-ში. სარეალიზაციოდ გამოტანილია შ.პ.ს. „მერკური-90“-ს უძრავ-მოძრავი ქონება.**

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის, ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა | | | | |
| 1 | არასაცხოვრებელი ფართი, მდებარე ქუთაისში, წმ.ნინოსა და ფალიაშვილის №21/27-ში | 46.89 კვმ | 65000 | შენობა აშენებულია აგურითა და ქვით, წინა მხარე მოპირკეთებულია წითელი ქვით, იატაკზე დაგებულია მოზაიკა, შესასვლელი კარები და ფანჯრები ნორმალურ მდგომარეობაშია, ელ.ქსელი მოწესრიგებულია. |
| სულ | | 0 | 65000 | |

შ.პ.ს. „მერკური-90“-ს სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 65000 (სამოცდახუთი ათასი) ლარს. მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას. აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში. ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას. დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. № 1, ტელ. 8(22) 26 22 52, 8(22) 26 22 46

# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს აუქციონს

**ფოთის კავშირგაბმულობის შენობაში; სამტრედიის ლაზის ატეესის შენობაში; ბათუმის დასავლეთ სალიანდაგო სამსახურის აჭარის რეგიონის ადმ. შენობაში, ხაშურის გამაძლიერებელი პუნქტის სიგნალიზაციის შენობებში, აპარატურის განთავსებისათვის 5 კვ.მ ფართებისა და შენობების სახურავებზე 0.25 კვ.მ ფართების, აუქციონის ფორმით, უფლების გაცემის მიზნით.**

*1. საიჯარო ქონების საინფორმაციო მონაცემები*

*2 .*

| | |
|---|---|
| 1 | ქ. ფოთი, კავშირგაბმულობის შენობა (რუსთავის ქ №1) |
| 2 | ქ. სამტრედია, ლაზის ატეესის შენობა (კავშირგაბმულობის სახლი) ჯავახიშვილის ქ. №2 |
| 3 | ქ. ბათუმი, დასავლეთის სალიანდაგო სამსახურის აჭარის რეგიონის ადმ. შენობა, [illegible] ქ. №1 |
| 4 | ქ. ხაშური, გამაძლიერებელი პუნქტის შენობა (სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების ხაშურის სამმართველო) კოსტავას ქ. №24 |

- **განთავსების უფლებისათვის საწყისი ყოველთვიური გადასახადი** - 1 660 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).
- **„ბე“** - 1 660 ლარი.
- **ბიჯი** - 500 ლარი.
- **განთავსების უფლების ვადა** - 4 წელი და 6 თვე
- **ბილეთის ფასი** - 200 ლარი.

- **განაცხადების მიღების ადგილი** - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56 33 48; 56 65 10

**განაცხადების მიღების ვადა** - 2009 წლის 27 აპრილიდან 2009 წლის 11 მაისამდე, აუქციონის ჩატარების დღემდე 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე.

- **აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო** - 2009 წლის11 მაისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, 14:30 საათი. იმ შემთხვევაში, როდესაც აუქციონის ჩატარების დღე ემთხვევა დასვენების დღეს, განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12:00 საათზე, ხოლო აუქციონი ჩატარდება ამავე დღის 14:00 საათზე.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** - „ბანკი რესპუბლიკა“ ცენტრალური ფილიალი ა/ა №3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.
- **აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*3. აუქციონის პირობები*

2. 1. განთავსების უფლების მიმღების მიერ განთავსების უფლებისათვის ყოველთვიური საიჯარო გადასახადის ყოველთვიურად გადახდა ყოველი საანგარიშსწორებო თვის 5 რიცხვამდე.

2. 2. განთავსების უფლების მიმღების მიერ საკომუნიკაციო ანძისა და აპარატურის დამონტაჟება.

2. 3. განთავსების უფლების მიმღებმა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს ქონების მოვლა-პატრონობა.

2. 4. კომუნალურ გადასახადებს იხდის განთავსების უფლების მიმღები.

2. 5. განთავსების უფლების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ქონება უბრუნდება შპს „საქართველოს რკინიგზას“ ნორმალური ფუნქციონირებისათვის, ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, ქონების ექსპლუატაციისას დახარჯული თანხები განთავსების უფლების მიმღებს არ აუნაზღაურდება.

2. 6. განთავსების უფლების, ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის 31-1/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული, საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

*4. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

3. 1. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმია განთავსების უფლებისათვის მაქსიმალური ყოველთვიური გადასახადის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ განთავსების უფლებისათვის გადასახადის საწყის თანხას და აუქციონის პირობების სრულად დაკმაყოფილებას.

*5. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და განთავსების უფლების ხელშეკრულების დადება*

4. 1. სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმს ხელს აწერს აუქციონში გამარჯვებული და საკონკურსო/სააუქციონო კომისიის წევრები.

4. 2. აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ აუქციონში გამარჯვებულს ჩამოერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

4. 3. აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

4. 4. აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში აუქციონში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს ხელშეკრულება.

4. 5. განთავსების უფლების მიმღები ვალდებულია ყოველ 6 თვეში ერთხელ შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში განთავსების უფლების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების თაობაზე.

4. 6. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, განთავსების უფლების მიმღები, იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად.

4. 7. თუ განთავსების უფლების მიმღები დაარღვევს განთავსების უფლებისათვის დაწესებული გადასახადის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, განთავსების უფლებისათვის გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით (პირგასამტეხლო, განთავსების უფლების მიმღებს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

4. 8. თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში განთავსების უფლების მიმღები არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს პირგასამტეხლოს გადახდაზე შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში განთავსების უფლების მიმღები კარგავს გაწეული ხარჯების და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*6. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

5. 1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, განთავსების უფლებისათვის საწყისი ყოველთვიური გადასახადის ოდენობას და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს. განაცხადში უნდა აისახოს მონაწილის თანხმობა აუქციონის პირობების შესრულებაზე.

5. 2. „ბეს“ და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

5. 3. აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5. 4. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5. 5. სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

*7. შენიშვნები და დათქმები*

6. 1. განთავსების უფლების მიმღებისათვის ყოველთვიური გადასახადის ოდენობა, განთავსების უფლების გამცემის მოთხოვნით, შეიძლება გადაიხედოს ყოველ 1 წელიწადში ერთხელ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღე. ამასთან, განთავსების უფლებისათვის ყოველთვიური გადასახადი არ შეიძლება შემცირდეს მოცემული აუქციონის პირობებით განსაზღვრულთან შედარებით.

6. 2. განთავსების უფლების მიმღებს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება ანგარიშსწორებისას.

6. 3. აუქციონის პირობებით დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული განაცხადები არ მიიღება.

6. 4. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

6. 5. განთავსების უფლების გამცემს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს ხელშეკრულებით გაცემული ქონება.

***აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაცის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“***

***ტელ: 56-33-48 56-65-10***

**ავტორექიმის (ტ-768720202029) და ჰაერგამანაწილებელი (ტ-786720203026) სტენდების რეალიზაციის შესახებ**

**1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები**

- ✓ **სარეალიზაციო ქონების დახასიათება:**
- ✓ **ავტორექიმის სტენდი -** ტ 768 720202029
- **ჰაერგამანაწილებლების სტენდი -** ტ 786 720203026
- **საწყისი გასაყიდი ფასი ავტორექიმის სტენდი -** 10 000 ლარი (დღგს-გარეშე)
- **საწყისი გასაყიდი ფასი ჰაერგამანაწილებელი სტენდი** - 13 300 ლარი (დღგს-გარეშე)
- **„ბე“ – 10 000ლარი**
- **ბიჯი - 500 ლარი**

**ბილეთის ფასი - 200 ლარი**

- **განაცხადების მიღების ადგილი - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი** №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული. ტელ.:563348; 566510
- **განაცხადების მიღების ვადა -** 2009 წლის 27 აპრილიდან 2009 წლის 11 მაისამდე, აუქციონის ჩატარების დღემდე 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე
- **აუქციონის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო -** 2009 წლის 11 მაისი ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში, 14:00 საათზე.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** - „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა №3407003205; ბანკის კოდი №220101757; საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.

**2. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმი**

2.1 სარეალიზაციო ქონების შესაძენად, მაქსიმალური ფასის გადახდა, არანაკლებ (სააუქციონო პირობებით გამოცხადებული) საწყისი ღირებულებისა.

**3. აუქციონის შედეგების ოქმის შედგენა, დამტკიცება და ნასყიდობის ხელშეკრულების დადება**

3.1 სააუქციონო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დგება აუქციონის შედეგების ოქმი, რომელშიც აისახება ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები.

3.2 ოქმს ხელს აწერს: მყიდველი, მეაუქციონე, კომისიის დამსწრე წევრები და სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე.

3.3 აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ „მყიდველს“ ჩამოერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

3.4 აუქციონის შედეგების ოქმი მტკიცდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის ბრძანებით, აუქციონის ჩატარების მომენტიდან 10 დღის ვადაში.

3.5 აუქციონის შედეგების დამტკიცებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს მყიდველი.

3.6 ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედის მყიდველის მიერ სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდის დღიდან.

**4. გამოსასყიდი თანხის გადახდის ვადა**

4.1. მყიდველი ვალდებულია, აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცებიდან არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში, შპს „საქართველოს რკინიგზის“ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში (საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით) გადაიხადოს ქონების ნასყიდობის თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

4.2. თუ „მყიდველი“ (აუქციონში გამარჯვებული პირი) 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში არ გადაიხდის სარეალიზაციო ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ მიენიჭება საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

4.3. საკუთრების უფლება „მყიდველს“ გადაეცემა აღნიშნული ქონების ღირებულების სრულად დაფარვის დღიდან.

**5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

5.1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზაციო ქონების დასახელებას, რომლის შეძენაც სურს მას, საწყის გასაყიდ ფასს და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მონაცემებს.

5.2. „ბეს“ და „მონაწილის ბილეთის“ ფასის გადახდის ქვითარი (გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

5.3. აუქციონში მონაწილე ფიზიკური პირის, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5.4. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5.5. სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში, განაცხადის რეგისტრაციისა და „მონაწილის ბილეთის“ შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

***სარეალიზაციო ქონების და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“.***

***საკონტაქტო ტელ: 56-33-48 56-65-10***

ძიუდო

# „ოქროს“ ვეღარ შესწვდნენ

**თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი. ტატამზე 40 ქვეყნის 200-ზე მეტმა წარმომადგენელმა მოსინჯა ძალები. ქართველმა ფალავნებმა, წინა წლებისგან განსხვავებით, მოკრძალებული შედეგი აჩვენეს — მათს აქტივში ერთი „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაოა“.**


მარცხნიდან მესამე ლევან წიკლაური

ახალგაზრდა ძიუდოისტმა ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ.ძ შარშან ყველა ორთაბრძოლა მოიგო (მათ შორის — უფროსებშიც, წლეულს თბილისის მსოფლიოს თასზეც პირველი იყო, ამიტომ გულშემატკივრები და სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ იგი ევროპის ჩემპიონატზეც გაიმარჯვებდა. საქმეც აქეთკენ მიდიოდა, როცა ზედიზედ სძლია სლოვაკ მილან რენდლს, რუმინელ ბოგდან ბარბულესკუს, უკრაინელ ვადიმ სინივსკის და ესპანელ ევროპის ჩემპიონ დავიდ ალარზას. ფინალში ლიპარტელიანი ბელარუს ანდრეი კაზუსიონაკს დაუპირისპირდა. წლეულს თბილისის საერთაშორისო ტურნირის გადამწყვეტ ბრძოლაში ქართველმა ფალავანმა მეტოქეს აჯობა, ამჯერად სლავმა მოჭიდავემ რევანში აიღო და ჩვენებური ვერცხლის მედალს დააჯერა.


ნესტორ ხერგიანი

ასპარეზობის პირველ დღეს ევროპის ჩემპიონატების მეშვიდე „ბრინჯაო“ დაიმსახურა ვეტერანმა ძიუდოისტმა, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, ორგზის ევროპის ჩემპიონმა ნესტორ ხერგიანმა. პირველი შეხვედრა მან გერმანელ როზერტ კოპისკეს მოუგო, შემდეგ ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერი დაამარცხა, ნახევარფინალური პაექრობა კი უკრაინის სახელით მოასპარეზე გიორგი ზანთარაიასთან დათმო. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი ჰოლანდიელი რუბენ ჰოუკესი დაჯაბნა. საგულისხმოა, რომ 1993 წლიდან საქართველოსთვის ეს ჯილდო ევროპის ჩემპიონატების 50-ე მედალი იყო.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას კიდევ ერთი „ბრინჯაო“ 81 კგ წონით კატეგორიაში ლევან წიკლაურმა შესძინა. იგი სამზოში შარშანდელი ევროპის ჩემპიონია. პირველ წრეში მან პოლონელი როზერტ კრავჩუკი დაამარცხა, მეორე პაექრობა კი იტალიელ ანტონიო ჩიანოსთან დათმო. რადგანაც მეტოქემ ფინალს უწია, წიკლაური დამამშვიდებელ ჯგუფში ჩაერთო, სადაც ესპანელ ხორხე ზენავენტეს და ფრანგ აქსელ კლერჟეს დააყრევინა ფარ-ხმალი და მესამე ადგილზე გავიდა.

ვაჟთა ტურნირში დანარჩენი ქართველი ფალავნები — მინდია ხომიზური (66ძ, თენგიზ პაპოშვილი (73ძ, ლომერ ჟორჟოლიანი (100ძ და ადამ ოქრუაშვილი (მძიმე წონაძ კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ, ისევე, როგორც ჩვენი ქალები — მაია ვეშაგური (48ძ, ლუიზა ფევაძე (57ძ, შორენა შარაძე (63ძ, სალომე წოწკოლაური (70ძ, ნინო ოძელაშვილი (78ძ და ირინე ლეონიძე (მძიმე წონაძ, თუმცა ამ უკანასკნელმა „ბრინჯაოს“ მოპოვების შანსი ვერ გამოიყენა.

მანდილოსანთა შორის ევროპის ჩემპიონები გახდნენ ფრედერიკა ჯონისეტი (48 კგ, საფრანგეთიძ, ნატალია კუზიატინა (52, რუსეთიძ, ტელმა მონტეირო (57, პორტუგალიაძ, ურსკა ზოლნირი (63, სლოვენიაძ, ლუსიე დეკოსი (70, საფრანგეთიძ, ესთერ სან მიგელი (78, ესპანეთიძ, ელენა ივაშჩენკო (მძიმე, რუსეთიძ.




საგულისხმოა, რომ სლოვენიელმა ზოლნირმა ყველა ორთაბრძოლა იპონით მოიგო და ოქროს მედლის მოპოვებას ყველაზე ნაკლები დრო მოანდომა, რისთვისაც ტურნირის მთავარი პრიზით — 5 ათასი ევროთი დააჯილდოვეს.

**კვარცხლბეკი**

**60 კგ.**
1. არსენ გალსტიანი (რუსეთიძ, 2. გიორგი ზანთარაია (უკრაინაძ, 3. ნესტორ ხერგიანი (საქართველოძ და ლუდვიგ პაიშერი (ავსტრიაძ.

**66 კგ.**
1. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთიძ,


ვარლამ ლიპარტელიანი

2. ტომაშ კოვალსკი (პოლონეთიძ, 3. დენის კოზლოვსი (ლატვიაძ და ალიმ გადანოვი (რუსეთიძ.

**73 კგ.**
1. ვოლოდიმირ სოროკა (უკრაინაძ, 2. დეძს ელმონტი (ჰოლანდიაძ, 3. ჟილ ბონომი (საფრანგეთიძ და მარსელ ტრუდოვი (მოლდოვაძ.

**81 კგ.**
1. ივან ნიფონტოვი (რუსეთიძ, 2. ანტონიო ჩიანო (იტალიაძ, ალაზ სეძეი (სლოვენიაძ და ლევან წიკლაური ((საქართველოძ.

**90 კგ.**
1. ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსიძ, 2. ვარლამ ლიპარტელიანი (საქართველოძ, 3. კაროლის ბაუზა (ლიტვაძ და ელხან მამადოვი (აზერბაიჯანიძ.

**100 კგ.**
1. ტაგირ ხაიბულაევი (რუსეთიძ, 2. ჰენკ ხროლი (ჰოლანდიაძ, 3. დანიელ ბრატა (რუმინეთიძ და ივგენის ბოროდავკო (ლატვიაძ.

**მძიმე წონა**
1. მარტინ პადარი (ესტონეთიძ, 2. ხრიმ ვუისტერსი (ჰოლანდიაძ, 3. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთიძ და იჰარ მაკარაუ (ბელარუსიძ.

ეროვნული ჩემპიონატი

# 9 მაისის მოლოდინში

**ახლოვდება 9 მაისი, როცა გაიმართება ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“. თბილისური დერბის რომელი მონაწილისთვის გათენდება გამარჯვების დღე, ამას მალე შევიტყობთ, მანამდე კი მოვლენები კალენდრის შესაბამისად ვითარდება.**

XXIX ტურში „ოქროს“ მაძიებელთაგან მხოლოდ ვეტერინარები თამაშობდნენ. მათმა მეტოქემ — უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად მებრძოლმა „მესხეთმა“ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ნესტორ მუმლაძის გუნდს და ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა — 0:3.

მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს ახალციხელთა უშუალო კონკურენტებმა „გაგრამ“ და „ცხინვალმა“. დევნილთა კლუბებმა, შესაბამისად, უმტკივნეულოდ მოასპარეზე „ლოკომოტივისა“ 1:0 და „სიონს — 2:1 მოუგეს.

მორიგი 3-3 ქულით შეივსეს მარაგი უეფას თასის საგზურისთვის მოპაექრე „ზესტაფონმა“ და „ოლიმპმა“. ყვირილასპირელებმა ზუგდიდის „მგლებს“ სძლიეს — 3:1, ხოლო რუსთაველებმა „ბორჯომთან“ წაივარჯიშეს — 6:1. ისვენებდა თბილისის „დინამო“.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ვიტ ჯორჯია“ — 62, „დინამო“ — 58, „ოლიმპი“ — 48, „ზესტაფონი“ — 46, „სიონი“ — 39, „ლოკომოტივი“ — 31, „მგლები“ — 30, „გაგრა“ — 25, „მესხეთი“ — 23, „ცხინვალი“ — 22, „ბორჯომი“ — 13 ქულა.

**2 მაისს ითამაშებენ:** „სიონი“ — „დინამო“, „ბორჯომი“ — „ზესტაფონი“, „გაგრა“ — „ოლიმპი“, „ცხინვალი“ — „ლოკომოტივი“, „მგლები“ — „მესხეთი“. ისვენებს „ვიტ ჯორჯია“.

# ევროპის სტადიონებზე

**ინგლისი. XXXIV ტური.** „მანჩესტერი“ — „ტოტენჰემი“ 5:2, „ჰალი“ — „ლივერპული “ 1:3, „ვესტ ჰემი“ — „ჩელსი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი — 77, „ლივერპული“ — 74, „ჩელსი“ — 71 ქულა.

**შემდეგი ტური:** „მიდლსბრო“ — „მანჩესტერი“, „ლივერპული“ — „ნიუკასლი“, „ჩელსი“ — „ფულჰემი“.

**გერმანია. XXIX ტური.** „კოტბუსი“ — „ვოლფსბურგი“ 2:0, „ჰოფენჰაიმი“ — „ჰერტა“ 0:1, „ბაიერნი“ — „შალკე“ 0:1, „შტუტგარტი“ — „აინტრახტი“ 2:0, „ბორუსია“ — „ჰამბურგი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვოლფსბურგი“ — 57, „ჰერტა“ — 55, „ბაიერნი“, „შტუტგარტი“, „ჰამბურგი“ — 54-54 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ჰოფენჰაიმი“ — „ვოლფსბურგი“, „ჰამბურგი“ — „ჰერტა“, „ბაიერნი“ — „გლადბახი“, „ბილეფელდი“ — „შტუტგარტი“.

**იტალია. XXXIII ტური.** „ნაპოლი“ — „ინტერი“ 1:0, „მილანი“ — „პალერმო“ 3:0, „რეჯინა“ — „იუვენტუსი“ 2:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 74, „მილანი“ — 67, „იუვენტუსი“ — 65 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ინტერი“ — „ლაციო“, „კატანია“ — „მილანი“, „იუვენტუსი“ — „ლეჩე“.

**ესპანეთი. XXXIII ტური.** „ვალენსია“ — „ბარსელონა“ 2:2, „სევილია“ — „რეალი“ 2:4.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“ — 82, „რეალი“ — 78, „სევილია“ — 57 ქულა.

**შემდეგი ტური:** „რეალი“ — „ბარსელონა“(!ძ, „ვილიარეალი“ — „სევილია“.

ჩემპიონთა ლიგა

# დღეს ნახევარფინალური მატჩია

**დღეს ბარსელონაში, სტადიონ „ნოუ კამპზე“ იმართება ევროპული ფეხბურთის პრესტიჟული გათამაშების — ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი.** ადგილობრივი „ბარსელონა“ უმასპინძლებს ლონდონის „ჩელსის“. ამ დიდმნიშვნელოვან შეხვედრას გაუძღვება გერმანელ მსაჯთა ბრიგადა **ვოლფგანგ შტარკის** ხელმძღვანელობით. მას დაეხმარებიან **იან-ჰენდრიკ ზელვერი და მაიკ პიკელი.**




შევნიშნეთ, ვასწორებთ

**ჩემს პუბლიკაციაში „ერთი თბილისური სასწავლებლის ფენომენი“ („სრ“, 24 აპრილიძ, „სპორტულ“ შესავალში, გამეპარა დაუდევრობები:** უნდა მხსომებოდა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე „სახელობითი“ გუნდები კი არა, რესპუბლიკების ნაკრებები გადიოდნენ; ასე რომ თბილისის „დინამოსა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ კალათბურთელთა ნაცვლად უნდა ეწეროს საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები. მკითხველებს ბოდიშს ვუხდი დაშვებული შეცდომებისთვის (ის, ამბავი, რომ საქართველოს ნაკრებს ფაქტობრივად თბილისის „დინამო“ შეადგენდა, ლატვიისას კი — რიგის ასკ, ვერ გამამართლებსძ.

პატივისცემით
**თამაზ ებანოიძე**

ინტერნეტიდან

## რგოლები ფეხბურთისთვის

**კოლუმბიელი იუველირები ფიფას დაკვეთით 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაამზადებენ 700 ათასი სასუვენირო რგოლს. ორმა საიუველირო კომპანიამ („რიკარდო სოტელა“ და „კოლუმბიის ოქრო“ძ კონტრაქტი გააფორმა ფიფასთან ოქროს, პლატინისა და ვერცხლის დიდძალი რგოლის დიზაინის დამუშავებაზე და დამზადებაზე.** რგოლები მოოჭვილი იქნება საქვეყნოდ სახელგანთქმული კოლუმბიური ზურმუხტით. რგოლის ფასი, ის კი ამ დიდი ტურნირის დროს გაიყიდება, იქნება ათასიდან 24 ათას დოლარამდე, მისი მასალის გათვალისწინებით. ყველაზე იაფი, ათას დოლარიანი რგოლი დამზადებული იქნება ოქროსა და ვერცხლიდან. ყველაზე ძვირფას, 24 ათას დოლარიან რგოლებს კი დაამზადებენ თეთრი ოქროსგან და მოოჭავენ ზურმუხტებით.




იუველირები შუა ივლისში აპირებენ თავიანთი ნაწარმის საბოლოო ვარიანტების პრეზენტაციას. მას დაესწრებიან „ფეხბურთის მეფე“ პელე და თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავი კრიშტიანუ როლანდუ.

რგოლების დამზადება დამთავრდება 2010 წლის მსოფლიო პირველობის სტარტისთვის.

## შირილმა ყველა დაჯაბნა

**ბოლო სამ წელიწადში პირველი ინგლისელი ქალი ჯგუფის Girls Aloud სოლისტი და „ჩელსის“ მცველის ეშლი კოულის ცოლი შერილ კოული სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს ყველაზე მომხიბვლელი ქალების სიას ჟურნალის FHM ვერსიით, შერილიმ მეორე პოზიციაზე დასწია შარშანდელი გამარჯვებული — ამერიკელი მსახიობი და ფოტომოდელი მეგან ფოქსი. მესამე საფეხურზეა 28 წლის ამერიკელი მსახიობი ჯესიკა ალბა. მეოთხეზე — ცნობილი მომღერალი ბრიტნი სპირსი. პირველ ხუთეულს ამთავრებს ინგლისელი ფოტომოდელი კილი ჰეიზელი.**



საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლე კარლა ბრუნი-სარკოზი მე-40-ეა. ჩოგბურთელი მარია შარაპოვა კი მხოლოდ 45-ე ადგილზეა.

◉ წარდგინება

# ჟურნალი „DA“ – გულებისკენ გადებული ხიდი



**საპროტესტო საკნებისა და ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარების ფონზე, თავისუფლების მოედანზე, „ქორთიარდ მარიოტში“ ფონდ „დიალოგ ევრაზიის პლატფორმა – საქართველოსა“ და მისი ჟურნალის „DA“-ს ახალი ნომრის წარდგინება გაიმართა. „დიალოგ ევრაზიის პლატფორმა – საქართველოს“ კომიტეტის თავმჯდომარეა პროფესორი გიული ალასანია. წარდგინებაზე ყველაზე ხშირად სწორედ მის სახელსა და გვარს ახსენებდნენ. სტუმრებისა თუ სიტყვით გამომსვლელთა მადლობა პრეზიდენტის დედას ეკუთვნოდა.**

იქვე, „ქორთიარდ მარიოტის“ წინ მოედანი საკნებით ავსებული იყო, სასტუმროში კი დიალოგზე და მის მნიშვნელობაზე მსჯელობდნენ...

გიული ალასანიამ გაიხსენა, როგორ ჩამოვიდნენ რამდენიმე წლის წინათ თურქეთიდან მისიონერები საქართველოსა და თურქეთს შორის ხიდის გასადებად: **„განვლილმა წლებმა დაგვარწმუნა, ეს ექსპორტი დროული და საჭირო იყო. ეს სიყვარულის ექსპორტია. მისია კი მხოლოდ საგანმანათლებლო ფუნქციითა და ორ ქვეყანას შორის დიალოგით არ შემოფარგლულა. ამ ადამიანებმა დაგვაკავშირეს „ევრაზიის დიალოგის“ პლატფორმასთან, და ჩვენ რამდენიმე წელია ვთანამშრომლობთ“**, – განაცხადა გიული ალასანიამ.

„დიალოგ ევრაზიის პლატფორმის“ გენერალური მდივნის **ისმაილ თასის** თქმით, პლატფორმა 1998 წელს შეიქმნა ერთი უკეთილშობილესი მიზნით, დაეკავშირებინა ერთმანეთთან ევროპა და აზია და მათ შორის მშვიდობა დაემყარებინა. პლატფორმა 12 ქვეყნის წარმომადგენლებმა შექმნეს და დააარსეს 3 თვეში ერთხელ გამომავალი ჟურნალი – „DA“.



„დიალოგ ევრაზიის პლატფორმის“ თანათავმჯდომარემ **ჰარონ თოქამამ** აღნიშნა, რომ პლატფორმა შეიქმნა თურქი მოაზროვნის ფეთჰულაჰ გიულენის იდეებით, რაც შემდეგ ევრაზიის ინტელიგენციამაც გაიზიარა, პირველად კი ჩვენი დროის თვალსაჩინო მწერალი, „დიალოგ ევრაზიის პლატფორმა – ყირგიზეთის“ კომიტეტის თავმჯდომარე **ჩინგიზ აითმათოვი** გამოეხმაურა.

„დიალოგ ევრაზიის პლატფორმა“ სწორედ მისი იდეებით – სიყვარულით, მიმტევებლობით, თანადგომით განაგრძობს მოღვაწეობას და ამიტომაცაა ყველა უმწეო ადამიანის იმედი“, – დაასკვნა ჰარონ თოქამამ.

სიტყვით გამოვიდნენ და დიალოგის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მესუთ ბოზქირმა, ბურსის დეპუტატმა მეჰმედ ოჯაქთანმა, თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს დესპანმა საქართველოში ჰუსეინ იზდემირმა, დეპუტატმა ირაკლი კენჭოშვილმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ, პრეზიდენტის მრჩეველმა პეტრე მეტრეველმა, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორმა ემზარ მაკარიძემ, გაზეთ „24 საათის“ დამფუძნებელმა მამუკა ფაჩუაშვილმა.

**მათი სულისკვეთება ასეთი იყო – ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ როგორც არასდროს, ისე გვჭირდება მშვიდობა, დემოკრატია, სტაბილურობა, მიმტევებლობა: როდესაც ცივილიზაციათა შორის შეჯახებისთვის ძალიან დიდი შანსია, ამ დროს უმნიშვნელოვანესია განათლებული, ინტელექტუალური ადამიანების ერთად ყოფნა და გადარჩენის გზების დასახვა. „დიალოგ ევრაზიის“ უმთავრესი მიზანია პლატფორმაში შემავალი ქვეყნების კულტურათა ურთიერთგაცნობა და დაახლოება.**

ამიტომაც პლატფორმის მესვეურებმა ახალი პროექტი წამოიწყეს – თითოეულ ქვეყანაში მრგვალი მაგიდის პრინციპით სხდომების გამართვა, რომელიც ყაზახეთსა და ყირგიზეთში უკვე ჩატარდა. ოქტომბერში „მრგვალი მაგიდა“ საქართველოში გაიმართება თემაზე: „დავით აღმაშენებელი“.

**„ქორთიარდ მარიოტში“ ისიც ითქვა, რომ ჟურნალ „DA“-ს ბოლო ნომერი ფეთჰულაჰ გიულენს მიეძღვნა, ივნისის ახალი ნომერი კი მთლიანად ჩინგიზ აითმათოვს დაეთმობა.**

**ნატა ნიბლაძე**
მურად ალაშვილის ფოტო.

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: პრაქტიკულად, რა უნდა გააკეთოს ავადმყოფმა (ან მისმა პატრონმა) დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების მისაღებად?**

**მარინა მუსერიძე**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნაროების გამო დახმარების მისაღებად დასაქმებული (მოსამსახურეძ წარუდგენს დამსაქმებელს (დაწესებულებასძ დროებითი შრომიუუნაროების დამადასტურებელ საბუთს (საავადმყოფო ფურცელსძ. დამსაქმებელი, დაწესებულება ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში ან აანაზღაუროს დროებითი შრომისუუნაროების გამო დახმარება ან წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს დასაქმებულს მოსამსახურეს, – რატომ ეუბნება უარს დახმარების გაცემაზე.

* * *

**კითხვა: რა შემთხვევაში არ გაიცემა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება (უფრო კონკრეტულად, არის თუ არა დაწესებული გარკვეული ვადა ბიულეტენის წარდგენისთვის?).**

**გივი ოსაძე**

**პასუხი:** დროებითი შრომისუუნაროების გამო დახმარება არ გაეცემა დამსაქმებლისთვის (დაწესებულებისთვისძ დროებითი შრომისუუნაროების დამადასტურებელი საბუთის (საავადმყოფო ფურცლისძ მისი დახურვიდან 3 თვის შემდეგ წარდგენის შემთხვევაში.

* * *

**კითხვა: გადადის თუ არა სავალდებულოდ წილის მოთხოვნის უფლება მემკვიდრეობით?**

**ლევან მჭედლიძე**

**პასუხი:** სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

◉ ინფორმაცია

## სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

**თბილისის საქალაქო სასამართლომ ქიბარ ხალვაშის კომპანიის „არტი ჯგუფის“ ადვოკატების სარჩელი მოსამართლეებისა და ნიკა გილაურის წინააღმდეგ დაუშვებლად მიიჩნია.**

როგორც კომპანიის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ განაცხადა, ასეთი გადაწყვეტილება სასამართლოსგან მოსალოდნელი იყო. ადვოკატები ასაჩივრებენ ყოფილი ფინანსთა მინისტრის ნიკა გილაურის გადაწყვეტილებას კომპანიებისთვის თანხების დარიცხვასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს, გაბუნიას თქმით, მათ უკანონო გადაწყვეტილებები გამოიტანეს, რითაც კომპანიებს ზიანი მიადგათ.

ამასთან, ადვოკატებმა სტრასბურგის სასამართლოდან მათ სარჩელთან დაკავშირებით დოკუმენტები მიიღეს, რომელსაც არ ახმაურებენ.

**ინტერპრესნიუსი**

**მიმდინარეობს შპს „ანაგი 2007“-ის** (რეგისტრირებული ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ 14.05.2007 წ. რეგისტრაციის №245593790, იურიდიული მისამართი: **ქ. ბათუმი, გორგასლის ქ. №127, ბ. 52ძ** ლიკვიდაცია. დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ საზოგადოების ლიკვიდატორს ირაკლი გოგოლიშვილს შემდეგ ტელეფონზე: **877 29-90-29.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპნენ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის თანამშრომლები**



**გიორგი გაბუნია,**
**ნიკა გელაშვილი**
**და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახებს, ახლობლებსა და კოლეგებს.**

**პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის გინეკოლოგიური კლინიკა მწუხარებით იუწყება დამსახურებული ონკოგინეკოლოგის, უმშვენიერესი ქალბატონის**

**ლალი ფაღავას**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიური ნაციონალური ცენტრის მრავალრიცხოვანი კოლექტივი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია, კ. ვეფხვაძის სახელობის საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოება, ქ. თბილისის ონკოლოგთა საზოგადოება, საქართველოს ონკოგინეკოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი ექიმ-გინეკოლოგის**

**ლალი ფაღავას**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**შვილი თინა ზალდასტანიშვილი, სიძე გია ჟორჟოლიანი, შვილიშვილები გიორგი და ქეთი ჟორჟოლიანები ოჯახებით, ძმა ილია ბახტაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ქეთო ზალდასტანიშვილი**

**პანაშვიდი 28, 29 IV, 17 სთ. დაკრძალვა 30 IV, 15 სთ. მისამართი: პეკინის ქ. №84.**

**გოგი ჟორჟოლიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მძახალი, უკეთილშობილესი ქალბატონი**

**ქეთო ზალდასტანიშვილი.**

**„სააქციო საზოგადოება „გორგოტას“ სამეთვალყურეო საბჭო აცხადებს, რომ 2009 წლის 31 მაისს, დღის 12 საათზე, ქ. ხაშურში, სტალინის ქ.2ა, გაიმართება სს „გორგოტას“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:**

1. 2008 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა-დამტკიცება.

1.1. გენერალური დირექტორის თავმჯდომარის ანგარიშის დამტკიცება.

1.2. სამეთვალყურეო სებჭოს თავმჯდომარის ანგარიშის დამტკიცება.

1.3. 01.01.2009 წ. მდგომარეობით წარმოების განკარგულებაში დარჩენილი სარეზერვო ფონდის ნაშთის გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წინადადების დამტკიცება.

2. დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა.

3. სააქციო საზოგადოების ფუნქციონირების შემდგომი პერსპექტივების საკითხის განხილვა.

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შრომის ანაზღაურების საკითხის განხილვა.

**კრების საღრიცხვო დღედ დადგენილია 2009 წ. 27 აპრილი.**

**აქციონერებს კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლების გარკვევა შეუძლიათ სს „კავკასრეესტრში“, ან სააქციო საზოგადოების დირექციაში პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კრებამდე 10 დღის განმავლობაში“.**

◉ გუშინ — დღეისათვის

# აშშ ალაგ-ალაგ მოსწონთ

**1987 წელს აშშ-ს კონგრესმა მიიღო კანონი ხანდაზმულობის გამო სამუშაოებზე დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც კრძალავს პენსიაზე ძალდატანებით გაშვებას.**

ჩვენთან, სამწუხაროდ, ზოგიერთ მსურველს, რომელსაც თავი აშშ-ს თავგადაკლულ მომხრედ მოაქვს, 40-50 წელს გადაცილებული ადამიანები „ჩამოსაწერთა" სიაში შეჰყავთ.

# დემოკრატია გამორიცხულია



**1799 წლის 18 ბრიუმერს (9 ნოემბერსძ ნაპოლეონმა სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა — დაამხო დირექტორია და დაამყარა კონსულობა. ამ ძალდატანებითი აქტის გამო ხუთასთა საბჭოს დეპუტატებმა ნაპოლეონი კანონგარეშედ გამოაცხადეს და მას შეძახილებით:** „ძირს დიქტატორი და ტირანი" შეხვდნენ, მაგრამ გენერალმა ლეკლერკმა გრენადერები შეიყვანა საბჭოს სხდომათა დარბაზში და სახალხო წარმომადგენლები გარეკა. ასე გახდა ნაპოლეონი ჯერ პირველი კონსული, შემდეგ კი — იმპერატორი. მის დროს დამკვიდრებული სახელმწიფოს მართვის მეთოდები არჩევითობაზე და პარლამენტარიზმზე პაროდია იყო. როდესაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ერთ-ერთ საკითხზე ნაპოლეონს პლებისციტის ჩატარება ურჩიეს, მან განაცხადა: მე გრენადერთა დახმარებით მოვედი სახელმწიფოს სათავეში და არა ხალხის მხარდაჭერითო.

**ასეა ყველგან, სადაც სახელმწიფოს მეთაური გაყალბებული არჩევნებითა და სხვადასხვა მაქინაციებით ხელში იგდებს ძალაუფლებას. იმ ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპებით სახელმწიფოს მართვა გამორიცხულია.**

# მოვალენი არიანო

**1776 წლის 4 ივლისს აშშ-მა მიიღო „დამოუკიდებლობის დეკლარაცია", რომლის ავტორი არის თომას ჯეფერსონი. მასში ნათქვამია: „ადამიანები თავიანთი ნება-სურვილით აფუძნებენ მთავრობებს იმისთვის, რომ დაიცვან თავიანთი ბუნებრივი უფლებები, რომელიც სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების ძიებებს მოიცავს. როდესაც ნებისმიერი მთავრობა ამ მიზნების საპირისპირო ქმედებას იწყებს, ხალხი უფლებამოსილია შეცვალოს იგი...**



გამოცდილება გვასწავლის, რომ თუ გასაჭირი გასაძლისია, ადამიანთა მოდგმა ამჯობინებს, იტანჯოს, ვიდრე თავს უშველოს... მაგრამ, როდესაც ბოროტებისა და უკანონობის უწყვეტი ჯაჭვი ნიადაგ ერთ მიზანს ემსახურება — დაუმორჩილოს ისინი აბსოლუტურ დესპოტიზმს, მათ უფლება აქვთ და მოვალენი არიან, დაამხონ ასეთი მთავრობა და თავის მომავალ კეთილდღეობას ახალი მცველები მიუჩინონ".

**ე.ი. თუ მთავრობა იმ ვალდებულებებს ვერ ართმევს თავს, რისთვისაც ხალხმა შექმნა ის, მაშინ ხალხი მოვალეა, ძალით დაამხოს ასეთი მთავრობაო.**

**ვაჟა თვალავაძე**

◉ ჯანმრთელობა

## აპოკალიფსი, რომელიც ჩვენივე ხელით მოგვყავს



**ბოლო წლებში დედამიწაზე ქარიშხლების ძალამ საშუალოდ 10-15 პროცენტით (!ძ მოიმატა, რასაც დიდი უბედურება მოაქვს როგორც სანაპიროს მცხოვრებთათვის, ისე ეკოლოგიისთვის.** გარდა ამისა, წყალდიდობები, ანომალურად ცივი ზამთრები და ცხელი ზაფხულები, დიდთოვლობა და კოკისპირული წვიმები, გახშირებული მიწისძვრები, ტყეების ულმობელი გაჩეხვა, ფრეონის უკონტროლო წარმოება, ადამიანის სხვა სახეობის უკონტროლო მოქმედება, მაგალითად, ისეთი, როგორიც ფოტოზე აღბეჭდილი დეტროიტის მახლობლად ძველი საბურავების უზარმაზარი მხრჩოლავი ნაგავსაყრელია, რომელიც ერთიანად ჭვარტლავს ზეცასაც და გარემოსაც, კაცობრიობას ბიბლიურ აპოკალიფსს აახლოებს.

## კაცი... ბოცაში



**ადამიანის შესაძლებლობებს მართლაც რომ საზღვარი არა აქვს, რაც ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაში არგენტინელმა ილუზიონისტმა ჰუგო ზამორატამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა.** სინიორ ზამორატამ შეძლო 66 სანტიმეტრისა და 45 სანტიმეტრის დიამეტრის ბოცაში საკუთარი ტანის ჩატევა.

## ჯიბის ქურდების „აიწონა-დაიწონა"

**2008 წელმა რუსეთელ სამართალდამცველებს თავი გასაოცარი კრიმინალური ნოვატორობით დაამახსოვრა, რომლებიც გაკვირვებას იწვევენ გონებამახვილობითა და საქმისადმი „შემოქმედებითი" მიდგომით.**

ზაფხულში მოსკოვში გაასამართლეს 30 წლის ყოფილი ლიფტიორი დიმიტრი კირიუხინი, რომელმაც 14 ძვირადღირებული მობილური ტელეფონი მოიპარა. იგი ჭეშმარიტად არაორდინარულად ქურდობდა: როცა ლიფტში კარგად ჩაცმული კაცი შედიოდა, იგი ლიფტს სართულებს შორის „ჭედავდა", მგზავრს თავს მექანიკოსად წარუდგენდა და კანტორიდან ხელსაწყოს გამოთხოვნის მოტივით მობილურ ტელეფონს სთხოვდა.



განსაკუთრებულ არტისტიზმს კი ჯიბის ქურდები იჩენდნენ. ბოლო დროს მოსკოვში გახშირდა ქუჩის ძარცვები სქემებით, რომლებსაც, პირობითად, „ძველი მეგობრების შეხვედრა" და „აწონვა" შეიძლება დავარქვათ. პირველ შემთხვევაში ქურდი ასრულებდა ქუჩაში ძველი მეგობრის შემხვედრი კაცის როლს. ვიდრე გაოგნებული მსხვერპლი „ძმაკაცს" ეხვეოდა, ეს უკანასკნელი მას ჯიბეებს უცარიელებდა. სხვა შემთხვევაში ქურდი, რომელიც სპორტსმენის იერს ირგებდა, ქუჩაში კარგად ჩაცმულ კაცს არჩევდა, ხვევნას უწყებდა, თან ჰაერში აგდებდა სიტყვებით: „შენც ხომ ძველი სპორტსმენი ხარ, მოდი გავიხსენებ, რომელ წონაში ასპარეზობდი!", თან ჯიბეებიდან ყველაფერს აცლიდა. ერთმა „ნოვატორმა" კი სულაც ჯიბეებიდან მანქანების გასაღებების ამოცლა მოიფიქრა... მაგნიტის მეშვეობით!

მოსკოველი ავტომობილისტები კი ბოლოს ჩაის სერვიზიანმა თაღლითებმა ამოიჩემეს: ისინი ეზოებში მოძრავ მანქანებს უყარაულებდნენ, მერე მანქანის ბამპერს იაფფასიანი ფინჯნებით პარკს აღეწავდნენ, მძღოლს კი ეუბნებოდნენ, რომ მან ძვირფასი სერვიზი დაუმტვრია, რომელიც „მეგობრისთვის საქორწილო საჩუქრად" მიჰქონდათ და ამიტომ ზარალი უნდა აანაზღაუროს...

## თანამედროვე „გარგანტუები"



**კუჭის მონები, იცოცხლეთ, ადრეც მრავლად იყვნენ და, ცხადია, ახლაც არიან, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა ისეთ „მწვერვალებს" მიაღწია, რაბლეს გარგანტუასაც რომ არ დასიზმრებია.** მაგალითად, ჰააგელმა პიტერ ლოუნმა 3 საათში 2 კილოგრამი მაკარონი, 12 წიწილა და 3 კილოგრამი მწვადი შეჭამა; ალფრედ რეინბოიმ (სიდნეიძ 24 წუთში 322 ლოკოკინა გადასანსლა; იტალიელმა კაროლ პერიმ 117 წუთში 10 მეტრი ძეხვი შეჭამა, ხოლო კანადელმა რობერტ სოისმა ნახევარ საათში გატეხა და დალია 97 ახალდადებული კვერცხი სპაგეტის „ჩემპიონმა" კი, გაგიკვირდებათ და არა იტალიელმა, არამედ ბერძენმა ფანის კოსტა დიმასმა ერთ საათში 300 მეტრი სპაგეტი „შეისვრიტა".

რაც შეეხება სალეჭ რეზინას, აქ ჩემპიონი, ცხადია, ამერიკელია, რომელმაც ერთი ფილა 8 საათის განმავლობაში ღეჭა. მიჩნეულია, რომ ეს „რეკორდი" მიუწვდომელია.

**უცხოური პრესის მიხედვით**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

◉ ანეკდოტები

ყველა ამტკიცებს, ალკოჰოლი პრობლემებს ვერ მოაგვარებსო. გეგონება, თითქოს წყალი ან რძე ახერხებდეს ამას.

* * *

ქალაქები სოფლად უნდა ავაშენოთ: იქ უფრო სუფთა ჰაერია.

* * *



ბრძენთან ახალგაზრდა კაცი მივიდა და ჰკითხა, რა უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ დიდი მეცნიერი გამოვიდეო.

— უარი უნდა თქვა ყველა სიამოვნებაზე, გარდა სწავლისა. უნდა შეეგუო შიმშილს, სიცივესა და სიღატაკეს. ასე უნდა იცხოვრო ორმოც წლამდე.

— მერე?

— მერე შეეჩვევი.

* * *

იმისთვის, რომ ქალმა ქალად იგრძნოს თავი, მას სჭირდება მამაკაცი, რომელიც თავს მამაკაცად გრძნობს.

* * *

მამაკაცისა და ქალის მეგობრობა მუდამ ეფუძნება იმის იმედს, რომ ეს უბრალოდ მეგობრობა არ არის.

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.